საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია № 295 1918 წ. ხუთშაბათი, აგვისტოს 1 № 295

# სახალხო საქმე

მთავარი კომიტეტის ორგანო

138/09 № 693

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ტფ. დააპატიმრეს რამდენიმე საეჭვო პირი, რომელნიც ბონების ექსპედიციას უნდა დასცემოდნენ. ნ. ჟორდანიას დროებით წასვლის გამო მთავრობის თავმჯდომარედ ნ. რამიშვილი დაინიშნა. გუშინ უცხოეთიდან ცნობები არ მოსულა.**

გულ დათუთქული: ცოლი ლინა; შვილები ნიკოლოზი, ნალია ლორთქიფანიძენი და სიდედრი, ნატალია ვერმიშევისა აუწყებენ ნაცნობთ და მეგობართ, რომ ქალაქ კავკავში მცირე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა პირველისა მეუღლე, მეორესი მამა და უკანასკნელის სიძე პოლკოვნიკი

**პლატონ მიხეილის ძე ლორთქიფანიძე**

პანაშვიდი დანიშნულია ქვიშხეთის ეკლესიაში: ივლისის 31-ს და აგვისტოს 1-ლს საღამოს 7 საათზე. 805

თ. ქაიხოსრო, დავით და თომა ალექსანდრეს ძენი სოლოღაშვილები გულითადი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ ივლისის [illegible]-ს ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათი დედა

**კნეინა დარია ნიკოლოზის ასული სოლოღაშვილისა**

სოფელ ბორბალოში. დაკრძალვა მოხდება აგვისტოს 1-ს, სოფ. ბორბალოს. 814

ღრმად დამწუხარებულნი: ალექსანდრე, კოლა, ანიჩკა, მარიამი და ელენე ფუსტიაშვილები აუწყებენ ნაცნობთ და ნათესავთ ძვირფასი სიძის

**სამსონ ლოხუმიშვილის**

ვერაგულად მოკვლას ქ. დუშეთში. 809

გიორგი დავითის ძე ამირეჯიბი მეუღლით და შვილებით, ანა ნოდარის ასული ამირეჯიბისა, ნიკოლოზ მაჭავარიანი ალექსანდრე ციციშვილი და კონსტანტინე ბაგრატიონ-დავიდოვი გულმწუხარედ აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ რომ უდროოდ გარდაიცვალა ამა თვის 29-ს დაბა ბორჯომში პირველთ დაუვიწყარი შვილი, მეორეთა მაზლი, ხოლო დანარჩენთა ცოლის ძმა

**ექიმი არჩილ ამირეჯიბი**

განსვენებული დაკრძალულ იქნება სოფ. ავლევში, აგვისტოს 3-ს. 812

**ქუთაისის ქალაქის გამგეობა** ამით აცხადებს, რომ აგვისტოს 1-დან თავისუფლდება ქალაქის მეორე აფთიაქის გამგის ადგილი. თხოვნების შემოტანა შეიძლება ქალაქის გამგეობაში აგვისტოს 10-მდე. არჩეული პირი **უნდა შეუდგეს** თავის მოვალეობის ასრულებას აგვისტოს 15-დან.

პირობები: ჯამაგირი 450 მან.,— თვეში, ბინის ქირა 500 მან.,— წელიწადში. 1258

**მიმოსვლა** **სამხედრო გზაზე** სახალხო გვარდიის საველე და მთავარი შტაბები აცხადებენ, რომ მიმოსვლა საქართველოს სამხედრო გზაზე თავისუფალია და არავითარი ნებართვა არა სჭირია. რათა სადგურებში მგზავრები არ დაბანდნენ — წამსვლელები უნდა გაუშვან ცოტ-ცოტა, მცირე პარტიობით, არა უმეტეს ათი ფურგონისა დღეში. ამასთანავე უნდა გავაფრთხილოთ ლტოლვილნი, რომ თერგის მთავრობამ კატეგორიულად განაცხადა: ლტოლვილებს კავკავში არ შეუშვებთო. ამიტომ სახალხო გვარდიის შტაბი იხსნის თავიდან ყოველგვარ პასუხისმგებლობას ლტოლვილების ბედ-იღბლის შესახებ.

1262 **სახალხო გვარდიის მთავარი შტაბი.**

**ტფილისის დიდუბის ღვთისმშობლის ეკლესიის სამრევლო საბჭო** სთხოვს ამავე ეკლესიის მრევლს დაესწროს კრებას, რომელიც დანიშნულია კვირას, აგვისტოს 4-ს (ახალი დროით) წირვის შემდეგ, 1 საათზე (ახალი დროით).

განსახილველი საგნები: ა) სამრევლო საბჭოს წინადადება მრევლისადმი ეკლესიის ძვირფასი ნივთეულობის საქართველოს რესპუბლიკის ფონდის გასაძლიერებლად გადაცემის შესახებ; ბ) მამულის შეძენა ეკლესიის საკუთრებად; და გ) არჩევნები დამატებითი წევრებისა სამრევლო საბჭოში.

ეს კრება იქნება უკანასკნელი და კანონიერი, რამდენი წევრიც გამოცხადდება. 811

**კვირას, აგვისტოს 4-ს,** თერთმეტის ნახევარზე დილით ქართულ კლუბის შენობაში დანიშნულია

**საგანგებო საზოგადო კრება**

**ქართული ფილარმონიული საზოგადოების წევრთა**

განსახილველია საკითხი საზოგადოების მოქმედების გაფართოებისა და ამასთან ერთად შემუშავება შესაფერ წესდებისა.

რადგანაც ეს კრება მეორედ ინიშნება, ამისათვის წესდების ძალით კანონიერად ჩაითვლება რამდენი წევრიც უნდა დაესწროს. 1260




დიდი ცირკი

**ძმ. ეფიმოვებისა**

მიხეილის პრ., მუშტ., ახლო, საკუთ., ახლად შეკეთ. კაპიტალური საზამთრო შენობა, ტელეფ. 18—60.

1918 წ. დღეს, ივლისის 31-ს, ხვალ აგვისტოს 1-ს გაიმართება

**დიდი საგასტროლო წარმოდგენა**

პირველი გასტროლი ველიკორუსულ კაპელისი ანდრეენკოსა და იზვეკოვის ხელმძღვანელობით მუსიკა, სიმღერა და სხვ.

გამგე პ. ელიზაროვი. 807

**დავკარგე** ჩერქეზიშვილის ქუჩაზე, ნაძალადევის ტრამვაის სადგურთან 2210 მანეთი და 300 მან., ბარათი. მპოვნელს ვთხოვ დაუყოვნებლივ დამიბრუნოს ბარათი მაინც. ბაყალის ქუჩა, გიორგი მესაბლიშვილის სახლი. 810

**გამოცდილი ოსტატი** ვასწავლი ყველანაირ ფეხსაცმელის კერვას სასწრაფოდ. ელისაბედის ქუჩა № 39. ფეხსაცმელის სახელოსნო „პრავდა“. პირობის გაგება შეიძლება მუდამ ჟამს. 804


ტფილისი, აგვისტოს 1.

**მთავრობის პრესტიჟი.** საქართველოს მთავრობის პრესტიჟის აღდგენა ჩვენი პირველი მოვალეობა უნდა იყოს. საქართველოს დღეს სათავეში უდგას დემოკრატიული, რესპუბლიკანური მთავრობა და ასეთი მთავრობის პრესტიჟის დაცვა ჩვენ არც გვაშინებს და არც გვარცხვენს. მაგრამ სულ სხვანაირად ფიქრობს აქაური კადეტების ორგანო „ნაროდ. სვ.“, რომელიც საზოგადოდ მომხრეა ძლიერი მთავრობის, მაგრამ საქართველოს მთავრობის სიძლიერე კი მას მაინცა და მაინც ძალიან არ ესიამოვნება.

მას მოჰყავს ერთი ჩვენი წერილიდან ციტატი, სადაც ვამტკიცებდით, რომ საქართველოს ყველა მოქალაქე ერთნაირი მოქალაქობრივი უფლებით უნდა იყოს აღჭურვილი, ხოლო საქართველოს მტრებს კი სასტიკი ბრძოლა უნდა გამოვუცხადოთო. ამ ადგილისთვის მიუქცევია ყურადღება ზემოხსენებულ გაზეთს, გადაუბრუნებია და გადაუტრიალებია აზრი. იგი ამბობს, „სახალხო საქმე“ როდესაც უცხოელებზე ლაპარაკობს, მხოლოდ რუსები ჰყავს მხედველობაშიო. ამის შემდეგ გაზეთი იწყებს მტკიცებას იმისას, რომ ყველა რუსი საქართველოს მტრად არ შეგვიძლიან დავსახოთო. ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნია კატეგორიულად განვაცხადოთ, რომ კადეტების გაზეთის წერილი სავსებით — ჩვენი აზრების დამახინჯებაზეა აშენებული. ჩვენ ვლაპარაკობდით საქართველოს მტრებზე. საიდან გამოიყვანა გაზეთმა ისეთი დასკვნა, რომ ამ შემთხვევაში ჩვენ ყველა რუსზე ვლაპარაკობთ? ნუ თუ გაზეთს ჰგონია, რომ საქართველოს მტრები მხოლოდ რუსები შეიძლება იყვნენ. ჩვენ გვგონია, რომ კადეტების ორგანოს უკეთესი აზრი უნდა ჰქონდეს შემუშავებული რუსებზე. ჩვენ კი საქართველოს მტრები ყველა წრესა და ერში გვეგულება. რუსებშიაც გვყავს მტრები და არა რუსებშიაც ისევე, როგორც არა ერთი და ორი მეგობარი ჰყავს საქართველოს რუსთა შორისაც.

ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნია ბრძოლა და სასტიკი ბრძოლა, — და დიახ, სასტიკი — საქართველოს დამოუკიდებლობის მტრებთან, რა ეროვნებასა და რა მიმართულებასაც არ ეკუთვნოდეს ეს მტერი. ეს რა თქმა უნდა იმას არა ნიშნავს, რომ ჩვენ შეგვიძლიან ყველა რუსი საქართველოს მტრად დავსახოთ. ეს კადეტების ორგანომაც ძალიან კარგად იცის და თუ იგი სიტყვას აბრუნებს, მხოლოდ იმიტომ, რომ ჩვენი თავისთავად მარტივი და საღი აზრი ანტირუსულ ეროვნულ დევნად გაასაღოს. ჩვენ ვთხოულობთ არა რუსების დევნას, არამედ იმ რუსებისა, რომლებიც აგრესიულ მიზნებს ისახავენ დამოუკიდებელ საქართველოს მიმართ. ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნია, რომ ამნაირი რუსების წინაამდეგ, რომლებიც, სხვათა შორის, უმეტეს წილად ძველ ბიუროკრატიულ და პოლიციურ წრეებში უნდა მოიძებნენ, საქართველოს მთავრობამ სასტიკი რეპრესიული ზომები მიიღოს. რაიცა შეეხება რუს მცხოვრებთა ფართე მასას, აურებელ მუშებს, ხელოსნებს, ხელზე მოსამსახურეებს და ყველა იმას, ვინც თავისი სოციალური მდგომარეობით დემოკრატიულ მასას წარმოადგენს, — ამათ წინაამდეგ რომ ჩვენ რამე გვქონდეს, მაშინ ჩვენ დემოკრატები და რესპუბლიკანელები კი არ ვიქნებოდით, არამედ ყოვლად უსინდისო კაციჭამიები. ჩვენ ძალიან შორსა ვართ ასეთი პოლიტიკისაგან, პირიქით, ძალიან ვწუხვართ, რომ რუსის შავრაზმული და პოლიციურ-ბიუროკრატიული წრეების ინსინუაციები ზოგჯერ გავლენას ახდენს რუსის დემოკრატიულ ნაწილზე, რომელიც ყველაფერს იჯერებს და გარბის ტფილისიდან. დემოკრატიული ნაწილი რუსებისა გარბის მაშინ, როდესაც ხულიგანური მოხელეობა მაგრად ებღაუჭება თავის პრივილეგიებს და მძიმედ ზის თავის ადგილებზე მაშინ, როდესაც რუსეთში მათი კოლეგები დიდი ხანია სარდაფებმა ჩაყლაპეს.

ჩვენ კადეტების ინსინუაციები არ გვაშინებს და უფრო თამამად ვთხოულობთ საქართველოს მთავრობისაგან: ბრძოლა საქართველოს მტრებს, ხოლო სრული მოქალაქობრივი თანასწორობა საქართველოს ლოიალურ ელემენტებს.

## მაგარი ნერვები

საქართველო ფეხზე წამოდგა. მეზობლები მისწი-მოსწია და თავისი შესაფერისი ადგილი დაიჭირა მზის ქვეშ. ჩვენი ჩაფერფლილი კერის კვლავ გაღვივება, დანგრეული ოჯახის კვლავ აგება თითქოს არავისთვის უნდა ყოფილიყო საწყენი და საზიანო. მაგრამ მიმოიხედეთ გარშემო: რამდენი შხამი ითხევა, რამდენი ლვარძლი ითესება, რა კბილღრჭენაა უძლურ ბოროტებისა!

რუსის მოხელენი ნიანგის ცრემლებს ჰღვრიან და მწარედ სტირიან: საწყალი საქართველო, როგორ გასძლებს უჩვენოდ. დაიღუპება უბედური, თორემ ჩვენ რა ინტერესი გვაქვს, მხოლოდ მისი სიყვარული გვალაპარაკებსო.

უკმაყოფილონი არიან სომხებიც. საკვირველია ამ ხალხის პრეტენზიები. საქართველოს, სურსათ-სანოვაგით გაჭირვებულს, დაუძლურებულს — ათასობით შემოესიენ სომხის ლტოლვილები. ჩვენმა ხალხმა ისინი მიიღო და მთავრობაც შეძლების-და გვარად ეხმარება. მიუხედავად ამისა, სომხის ხელმძღვანელი წრეები საშინელ აგიტაციას ეწევიან საქართველოს რესპუბლიკის წინააღმდეგ. და როდესაც ქართული პრესა ამას აღნიშნავს, გვიპასუხებენ რიხიანად: არ გვეშინიან, არა ქართველი ხალხისაო. მის მაგივრად რომ შეეგუონ საქართველოს თავისუფლებას, დააფასონ ჩვენი სტუმართ-მოყვარეობა — ისინი უდიდესი აგიტატორები არიან ჩვენსავე წინააღმდეგ და ყოველ ფეხის ნაბიჯზე სცდილობენ მთავრობას, რესპუბლიკას სახელი გაუტეხონ.

გაუგებარი აგიტაცია სწარმოებს თურმე აგრეთვე ჩვენს წინააღმდეგ აღერბეიჯანში. იქ ხმას ავრცელებენ, რომ საქართველომ გაჰყიდა აღერბეიჯანი, ეხლა ომსაც გვიცხადებსო და სხვ. ერთი სიტყვით — კეთილ განწყობილების და მეზობლობის მაგივრად ყველა სამარეს გვითხრის, სცდილობს დაგვღუპოს.

ჩვენის ღრმა რწმენით, სწორად გაგებული ინტერესები სომხის და აღერბეიჯანის ერებისა ჩვენსას არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს. მაგრამ ხელმძღვანელი წრეები, განსაკუთრებით სომხებისა, ყოველი საშუალებით სცდილობენ უფსკრული შექმნან ქართველთა და სომხებს შორის. ჩვენი მეზობელი ერის პოლიტიკოსები არასოდეს ყოფილან შორსმჭვრეტელნი, მაგრამ ამჟამად საკვირველი ატროფია აქვთ ყოველგვარ რიგიანობის გრძნობისა. აშკარად შესტრფიან ჩვენს მოწინააღმდეგე ძალთა გამარჯვებას და ამნაირად ჩვენს დაღუპვას, ნეტავი გათვალისწინებული კი აქვთ, რა სარგებლობას მოუტანს მათ ჩვენი უბედურება?..

ამათ უნდა მიუმატოთ კიდევ ის „სოციალისტები“, რომელნიც ჰოი, საკვირველებავ, ქართველ რევოლუციონურ დემოკრატიას ღალატს სწამებენ! ეს ადამიანები, რომელნიც გუშინ და გუშინწინ თბილ ადგილებზე იყვნენ მოკალათებულნი და მარტში უცბად, მთელი დაწესებულებებით ინ-კორპორე პარტიაში ეწერებოდნენ — ჩვენ გვასწავლიან ჭკუას ყვავ-ყორნებივით მაღლიდან დაგვჩხავიან: კვო ვადის იბერიაო.

ყველა ამ ხალხს პრესაც მდიდარი აქვს „ტრუდოვოე ზნამია“: „ნარ. სვობოდა“ „კავკ. სლოვო“, „ედინენიე“, „სოციალ-დემოკრატი“ და სხვ. ხმა შეწყობილად სტირიან: ვაი, როგორ იღუპება საქართველო, აფსუს, უჩვენოდ როგორ გასძლებსო. მაგრამ კარგად რომ ჩააკვირდეთ მათს სიტყვებს, ადვილად შეამჩნევთ: შავრაზმელები სტირიან საკუთარ თბილ ადგილებს, ძველ ბატონობას. ყოველი ნაბიჯი ჩვენის მთავრობისა მათ აბრაზებთ და ელეთმელეთსა ჰგვრით. ისინი ვერ შეჰრიგებიან, რომ ჩვენი თავი ჩვენვე გვეკუთვნის და როცა რაიმე ნაბიჯს ვსდგამთ, უკვირთ ბიჭოს, ნამდვილად აპირებენ დამოუკიდებლობას, აღარა ხუმრობენო.

რუსის მოხელეების ორგანოები იქამდისაც კი გათავხედნენ, რომ ბოლშევიკებთან კავშირს გვიქადაგებენ. ჰსურთ არყით აყროლებული „სოციალიზმი“ მოგვახვიონ თავს. ისინი უძლურნი არიან და რამდენადაც ამას მეტად გრძნობენ, იმდენად შხამ-სამსალა ემატებათ. ისინი აცხადებენ, რომ იარაღით კი არ იბრძოლებენ, არამედ სიტყვით, ქადაგებით. თითქოს იარაღს კი მოერიდებიან, ან ერიდებიან; როცა ძალა შესწევთ!

ეს შავრაზმელი ვაჟბატონები არსებითად წინააღმდეგნი არიან საქართველოს დამოუკიდებლობისა და ნიანგის ცრემლებს კი აფრქვევენ: რად მოიწვია მთავრობამ უცხოელი ინსტრუქტორები. ეს ხომ სუვერენიტეტის დარღვევააო: და თვითონ კი მოითხოვენ რუსეთთან შეერთებას, ე. ი. ყოველგვარ თავისუფლების მოსპობას და ქართველი ერის დამონებას.

რკინის იარაღით არ გვებრძვიან ხსენებული ვაჟბატონები, მაგრამ საშინელ ატმოსფერას კი ჰქმნიან. ირლანდიელთა მეთაური ოკონნელი, რომელიც წინააღმდეგი იყო ყოველგვარ ძალადობისა, ამბობდა ხოლმე: მე მივაღწევ მიზანს, ირლანდიას მოვუპოვებ თავისუფლებას კონსტიტუციონური, მშვიდობიანი გზით **საზოგადოებრივი აზრის ელექტრონითაო.** და სწორედ ამ გზას ადგიან ჯერჯერობით ჩვენი მტრები, ისინი დღეს სიტყვიერ აგიტაციას ეწევიან და ჰქმნიან სულის შემხუთველ ატმოსფერას. მათი მუდმივი ძახილია: კართაგენი უნდა დაინგრეს! საქართველოს დამოუკიდებლობა უნდა მოისპოსო.

მაგრამ სცდებიან ჩვენი მოწინააღმდეგენი. ცხოვრება მათ გარეშე მიმდინარეობს და ტყუილად ეპოტინებიან გარედან. ჩვენი სახელმწიფოებრიობა მედგრად მიიწევს ბრწყინვალე მომავლისაკენ და ბუთა ღმუილი ვერაფერს გაჰხდება. ხოლო ჩვენც უნდა ვსცდილობდეთ მათივე იარაღით შევებრძოლოთ და უნდა გავფანტოთ, გავაწყალოთ ის შხამ-გესლი, ასე უხვად რომ ითხევა ჩვენს გარშემო. და ამ ბრძოლაში ჩვენ უნდა ვიყოთ მტკიცენი და შეუბრალებელნი. ამ ომში გაიმარჯვებს ის, ვისაც მტკიცე ნებისყოფა აქვსო, სთქვა ერთხელ ჰინდენბურგმა. დაე გვახსოვდეს, რომ სწორედ ეს სიმტკიცე გვიშველის. მაგარი ნერვები — აი, რა მოსტეხს ჩვენს მტერ-მოყვარეებს, რომელნიც მალე მოიღლებიან უნაყოფო წყლის ნაყვით და ჩვენს თავისუფლებასაც ბოლოს და ბოლოს ძალაუნებურად შეურიგდებიან.

ქ. რაჭველიშვილი.

## მთავრობაში

ივლისის 30-ს მთავრობის სხდომაზე შრომის მინისტრის მოხსენებით, წითელ ჯვრის მთავარ გამგის განკარგულებაში გადაიცა 859 ათასი მან.

სახალხო განათლების მინისტრის მოხსენების თანახმად ქართულ უნივერსიტეტის სახელმწიფო უნივერსიტეტად გადაკეთების შესახებ მთავრობამ დაადგინა: ეს საკითხი საუწყებათაშორისო კომისიას გადაეცეს გადასაწყვეტად. კომისია იქნება სწავლა განათლების მინისტრის თავმჯდომარეობით და ქალაქის თავის მონაწილეობით.

შრომის მინისტრის მოხსენების თანახმად, მთავრობამ დაადგინა სახაზინო იჯარების ჩაბარების დროს უპირატე-

სობა პროფესიონალურ კავშირებს და მუშათა არტელებს მიეცეს.

—

სოხუმის სასწავლებელთა ზედამხედველის განკარგულებაში გადადაიდო 11,580 მან.

—

შრომის სამინისტრომ ყველა დაწესებულებაში განკარგულება გასცა, რომ მოსამსახურეთა საკითხი გადაწყვეტილ იქმნას შრომის სამინისტროსთან შეთანხმებით.

**ნ. ჟორდანი ს დროებითი მოადგილე.** ნ. ნ. ჟორდანიას ტფილისიდან დროებით წასვლის გამო, მთავრობის თავმჯდომარედ დროებით დაინიშნა ნ. რამიშვილი.

## ეროვნული საბჭო

**ივლისის 30-ს სხდომა.**

სხდომა, რომელსაც თავმჯდომარეობს **ექვთიმე თაყაიშვილი,** იწყება სწორედ შუადღისას დღის წესრიგის მოსმენით და დამტკიცებით.

პირველი საკითხია შინაგან საქმეთა სამინისტროსგან წარდგენილი კანონ-პროექტი ტფილისის და ქუთაისის გუბერნიებში, აგრეთვე სოხუმის ოლქში საგანგებო მფრინავ რაზმის დაარსების შესახებ, ანუ უფრო მართებულად რომ ითქვას, არსებულ მფრინავ რაზმის 1500-დან 2500 კაცამდე გამრავლების თაობაზე.

საკითხის გამო მომხსენებელია **ალ. ლომთათიძე** (სოც. დემ.), რომელიც თავის მოკლე სიტყვით საკმარისად ასაბუთებს მფრინავ რაზმის აუცილებელ საჭიროებას, რათა ნორჩმა რესპუბლიკამ მშვიდობიანად გადაიტანოს უამრავლი აბობება, სხვა და სხვა კუთხეში რომ უცაბედად იფეთქებს ხოლმე, სძლიოს არსებული ანარქია და თვისუფლად, უმტკივნეულოდ დაადგეს სახელმწიფოებრივ განვითარების და წარმატების გზას.

**რ. გაბაშვილი.** ამ დღეებში ეროვნულმა საბჭომ დაადასტურა ერთი საგანგებო რაზმის არსებობა, რომელიც უნდა ებრძოლოს კონტრ-რევოლიუციას და სპეკულიაციას. დღეს იგივე სამინისტრო შინაგან საქმეებისა ეროვნულ საბჭოსგან ითხოვს დადასტურებას ახალ საგანგებო მფრინავ რაზმისას. მისი მოვალეობაა წესიერების დამყარება, რაც ჩვეულებრივ ჯარის და მილიციის ვალს შეადგენს, და ამიტომ არაფერს საგანგებოს არ აკეთებს. ყოველ ასეთ რაზმის დაარსებას აქვს ხოლმე გარკვეული მიზნები დასახული, მაგრამ ყოველთვის ეს რაზმები დასახულ მიზნების საწინააღმდეგო მიზნებს მიაღწევენ ხოლმე. აი საბუთიც. თქვენ გყავთ საგანგებო რაზმი, რომლის დანიშნულებაა წესიერების დამყარება და ბოროტ პირთა აღმოჩენა და დევნა. ამ დღეებში ერთ-ერთ გაზეთში, რომელიც დღემდე რევოლიუციის შემქმნელთა ორგანოდ ითვლებოდა და რომელიც დღეს შეიძლება ამ წერილის გამო კონტრ-რევოლიუციონურად გამოაცხადოთ, დაწვრილებით არის დახასიათებული ეს საგანგებო რაზმი, იგი მახარაძის მეთაურობით დადის, მოღვაწეობს, ხალხს თოფ-იარაღს ჰყრის და შემდეგ მისი რაზმელები ისაკუთრებენ ჩამორთმეულ რევოლვერებს, კარაბინებს და სხვა საუკეთესო იარაღს არ ვიცი, მართლა გწადიანთ თუ არა. წესიერების დამყარება, ეს კია, რომ ამ რაზმების საშუალებით თქვენ წესიერებას ვერ დაამყარეთ.

ეს საგანგებო მფრინავი რაზმი, რომლის კანონ-პროექტს ეხლა ვიხილავთ, არის მხოლოდ დამატება წინანდელ რაზმისა. ეს ჩომა საწადელ მიზნამდე ვერ მიგვიყვანთ, რადგან წესიერების დამყარება შეიძლება არა საგანგებო რაზმებით, არამედ რეგულიარი ჯარით და უფრო იაფადაც. აი, მაგალითად, საზღვრების დასაცავად ჩვენ ქვეყანას ბუნებრივ პირობათა გამო არ სჭირდება ისე მრავალრიცხოვანი ჯარი, როგორც სხვა რომელიმე სახელმწიფოს, რომელსაც არა აქვს ჩვენსავით ბუნებრივად დაცული საზღვრები. დარიალის ხეობას იცავს ერთი საგანგებო რაზმი, რომლის შენახვა ჩვენ ძალიან ძვირად გვიჯდება. რეგულიარი ჯარი კი რომ გვყავდეს, დარიალის დაცვა შეიძლებოდა უფრო უკეთესად, უფრო ნაკლები რიცხვით და უფრო ნაკლები ხარჯის გაწევით. თქვენ კი ასეთ ჯარის შექმნას ეწინააღმდეგებით.

კანონ-პროექტის მიღება მოითხოვდიდ ხარჯს, რაზმის დაარსება მიზანშეუწონელია და ამიტომ ჩვენ წინააღმდეგნი ვართ კანონ-პროექტისა.

**ალ. ლომთათიძე.** (სოც. დემ.) ააუგებარია ნაციონალ-დემოკრატების პოზიცია. პარტია ეტრფის და მოითხოვს წესიერების დამყარებას. ჩვენც ამას ვისახავთ მიზნათ და გამოვსძებნეთ საშუალება საგანგებო მფრინავი რაზმი. მაგრამ ასეთ რაზმის შექმნას ეწინააღმდეგებიან ეროვნული დემოკრატები: საოცარია. თქვენც აღიარებთ, რომ ანარქია არსებობს. ანარქიას ხომ ბრძოლა უნდა? (ხმები: დიახ.) მაშ რით ვებრძოლოთ? გეკითხებით. (ხმები: რეგულიარული ჯარით: რეგულიარული ჯარით? კარგი, მაგრამ ხომ არსებობს სინამდვილე და ჭეშმარიტებასაც ხომ ანგარიში უნდა გაუწიოთ ჭეშმარიტება კი ისეთია, რომ დღეს შეუძლებელია რეგულიარული ჯარის შექმნა ამისთვის საჭიროა წესიერება, ანარქიის დროს კი ხალხს თავს ვერ მოუყრი. ამიტომ მიზანშეწონილი საშუალება უნდა იხმარო. იმ რაზმით, რომელსაც ეხლა ვაკანონებთ, ჩვენ შეგვეძლება სხვათაშორის ჯარის შექმნაც. იქნებ ნაციონალ დემოკრატებს ჰგონიათ, რომ საკმარისია, სიტყვა ითქვას, ბრძანება გაიცეს შესდგეს ჯარიო და ჯარიც ხელადვე შესდგება? არა, ეს ასე არ არის ამას ამბობს სინამდვილე და ჭეშმარიტება. და ჭეშმარიტების სიყვარული მოითხოვს, რომ ბ-ნ რევაზ გაბაშვ. მოვალე იყო მადლობით მოეხსენებინა ის ღვაწლი, რომელიც დასდო საქართველოს რესპუბლიკის ქუთაისის მფრინავმა რაზმმა საჩხერეში ანარქიის ჩაქრობით და გადმოსულ ოსების ალაგმვით და სრული მორჩილებით. რესპუბლიკის კეთილდღეობა მოითხოვს წარმოდგენილი კანონპროექტი ეხლავე მიღებულ იქნას და კომისიის სახელით მეც ამას ვითხოვ ეროვნულ საბჭოსაგან.

საბჭო გადადის კანონპროექტის მუხლობრივ განხილვაზე პირველ მუხლის გამო ლაპარაკობს **დ. ვაჩნაძე** (ნ. დ.). მთავრობა მოითხოვს მფრინავ რაზმის შექმნას 2500 კაცისაგან შემდგარს. ეს რაზმი განზრახულია ექვს თვეს და შესანახად მოითხოვს 12 მილიონ მანეთს. არ ვიცით, რა მოვალეობა ექნება დაკისრებული ამ რაზმს როცა არსებობს მილიცია და არის სახალხო გვარდია. ასეთ რაზმებით ჩვენ ძლიერებას ვერ შევქმნით. პირიქით ვასუსტებთ, ენერგიას ვაცლით და კონკურენციას ვუქმნით იმ რეგულიარულ ჯარს, რომლის შექმნა და გაძლიერებაა საჭირო ჩვენ წინაამდეგნი ვართ რაზმის გადიდებისა.

**ნ. რამიშვილი** (შინაგან საქმეთა მინისტრი). ხალხის წარმომადგენელნო! აქ მთავრობას ბრალს სდებენ, რომ ის ჰქმნის ისეთ ძალას, რომელიც თავის არსებობით ძირს უთხრის სახელმწიფოს სამხედრო ძალას. ბრალდება, დამეთანხმეთ, მეტად მძიმეა. აქ ბ-მა ვაჩნაძემ ილაპარაკა ენერგიას ჩამოაცლითო, მეტოქეობას გაუწევსო და სხვა. გავარჩიოთ ეს უსისტემოდ წარმოთქმული სიტყვები. რა ენერგიას გამოაცლის რაზმი ჯარს? არავითარს. მეტოქეობა-კონკურენციაზედაც ლაპარაკი ზედმეტია, რადგან რაზმში შესვლის უფლება აქვს მხოლოდ იმათ, ვისაც სამხედრო ბეგარა მოხდილი აქვს, ხოლო მათ, ვინც ჯარში გასაწვევია რაზმში შესვლის უფლება არა აქვთ. ჩვენ რეგულიარულ ჯარის შექმნის წინააღმდეგნი არა ვართ. ეს კარგად უნდა იცოდეს ბ-ნმა ვაჩნაძემ, რომელიც, თუ არ ვსცდები, სამხედრო კომისიის წევრია. დღეს ჩვენ საკმაო ჯარი არა გვყავს, რომელზედაც ადმინისტრაციას შეეძლოს დამყარება. სანამ რაზმს შეჰქმნით, ჯარი იქნებაო, ასეთი იყო აზრი ვაჩნაძისა. მას ეს არ უთქვამს, მაგრამ ეს აზრი იმის ნალაპარაკევიდან გამოდის. მე კი შემიძლიან განვაცხადო, რომ სამ-ოთხი თვის განმავლობაში არ შეგვიძლიან სრულებით შევქმნათ ის ძალა, რომელსაც იძლევა ეს რაზმი.

ნაციონალ-დემოკრატები ისე ვერ ილაპარაკებენ, რომ სახალხო გვარდიას ხელი არ წამოჰკრან და არ იკითხონ: სახალხო გვარდია რაღას აკეთებსო? მისი დანიშნულებაა გამოვიდეს სამოქმედოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში. როცა რესპუბლიკას სერიოზული საფრთხე მოელის, მაშინ ის იარაღს ისხავს და სამშობლოს დასაცავად გამოდის. ფინანსიური თვალსაზრისითაც რომ შევეხოთ, რომელსაც ნაციონალ-დემოკრატები იშველიებენ, უნდა ითქვას, რომ სახალხო გვარდიის მობილიზაცია ნაკლებ ხარჯებს არ მოითხოვს.

(შემდეგი იქნება)

## ახალი ამბავი

✦ **პეტროგრადიდან ჩამოსული** მოგვითხრობს, რომ მთელ რუსეთის რკინის გზაზე წესრიგი აღდგენილია. მუშაობენ ფოსტა-ტელეგრაფი და სხვა სახელმწიფო დაწესებულებანა. პეტროგრადში უმეტესად თევზით იკვებებიან, პური ერთხანს ძალიან ცოტა ყოფილა. ორი დღისთვის თურმე მხოლოდ $^{1}/_{8}$ გირვანქას იძლეოდნენ თითო კაცზე და ამ შემთხვევამ მთავრობა აიძულა რომ ნება დაერთოთ პურის თავისუფალი ვაჭრობისა. პეტროგრადიდან მგზავრები მთელი ჯგუფობით გამოდიან თურმე.

✦ **ლტოლვილები,** ივლისის 29-დან ყველა ლტოლვილი ქალაქიდან გაყვანილ იქმნა და დასახლებული მე-300 ვერსზე ტფილისთან. იქვე გამართ ლია საავადმყოფო. სომხის ეროვნ. საბჭომ მათთვის გახსნა საქსოვი ქარხანა. ტფილისში დარჩენალ ლტოლვილებს ივლისი 29-დან ქალაქი აღარავითარ სურსათს არ აძლევს. კახეთის რკ. გზას ებრძანა ლტოლვილები არ წამოიყვანოს.

✦ **ილიაობა.** პარასკევს, ივლისის 20-ს (ძველი სტ.) წმინდა წინასწარმეტყველი ილიას ეკლესიაში, (მახათას მთაზე) დილით 6 საათზე ნაძალადევის ივერიის ღვთის მშობლის ეკლესიიდან გაემგზავრება სამღვდელოება მლოცველებითურთ ჯვრებით და ხატებით, სადაც ღამისთევითი ლოცვა გადახდილ იქნება დღეობის წინა საღამოს 6 საათზე, მხოლოდ თვით 20-ს საღმთო ლიტურგია, რომელიც დაიწყება დილის 9 ნახ. საათზე.

✦ **ლექცია ხოლერაზე.** კვირას, აგვისტოს 4 მე-10 უბანში ექ. მირაქოვი რუსულად წაიკითხავს ლექციას ხოლერაზე.

✦ **ცნობა კიევიდან.** აღმასრულებელი კომიტეტი ქართული კოლონიისა ქ. კიევში ამით საყოველთაოდ აცხადებს მშობელთა, ნაცნობთა, ნათესავთა საყურადღებოდ; რომ ამ უკანასკნელ დროს მომხდარ უბედურ ამბების დროს ქ კიევში (ზვერინეცზედ) დიდი აფეთქება საარტილერიო ტყვია წამლის საწყობებისა და პოდოლზე უზარმაზარი ცეცხლი საქართველოს მოქალაქეთა შორის არავინ დაშავებულა და დაზიანებულა. თავმჯდომარე გიორგი მამალაძე, მდივანი ნ. კაპანაძე.

✦ **ქართულ საგიმნასტიკო საზოგადოებას „ამირანთან“** არსდება სასპორტო ვარჯიშობის წრე (იქნება ლაუნ-ტენისი, ხოკეი, ფუტბოლი, კროკეტი და მრავალი სხვა.) წევრების ჩაწერა სწარმოებს ყოფილ სამხედრო გიმნასტიკის სასწავლებლის შენობაში (ფრეილინის და ალექსანდროვის ქ.ქ. კუთხე) ყოველ დღე 12—2-დე.

✦ **ერთდროული გადასახადი.** ქალაქის საბჭომ დაადგინა დააწესოს ერთდროული გადასახადი, რომელიც ხოლერასთან ბრძოლას მოხმარდება: სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულებებს გადაახდევინებენ 20%-ს სამრეწველო გადასახადისა; რესტორანებსა და გასართობ დაწესებულებათ პირველი ხარისხისას 10% ს, ხოლო დანარჩენთ 5%-ს იმ ანგარიშებისა, რომელიც მუშტრებს წარედგინებათ მცხოვრებლებს თვიური შემოსავლის 2%-ს. გამგეობის გამოანგარიშებით ეს გადასახადი მისცემს ქალაქს 1.111.680 მანეთს.

✦ **სეირნობა.** წმინდა ნინოს სასწავლებლის ბაღში კვირას. მარიამობისთვის 4 მე-5 ქართულ პოლკში მონანსახურ თა შვილების გამოსაზრდელ ფონდის დასაარსებლად გაიმართება დიდი სეირნობა, კონცერტი, კაბარე, და ცეკვა ღამის 3 საათამდე. კონცერტში მონაწილეობენ ტფ. სახელმწიფო თეატრის მსახიობნი ქ-ნი: შვანბერგი, მილიავისა.კორონა და ფირსოვისა, ბ-ნნი: კონზინი, ვრონსკი, ნიკოლსკი და ინაშვილი. კონფერანსიე ნ. ა. დიმოვი. როიალთან სანდრო კორონა. სეირნობა დაიწყება 8 საათზე კონცერტი 9 საათზე ბილეთები იყიდება „ძმურ ნუგეშში“ 8—10 საღამოს და პოლკის შტაბში (საპიორის ქუჩა). საღამოს დიასახლისი ბალუევისა. საღამოს პასუხისმგებელი გამგე ბარნაბიშვილი, თანაშემწე ბადრიაშვილი.

✦ **საქონლის გამცვლელ კომიტეტმა** დაადგინა ქართულ-გერმანული კომისია მოაწყოს, რომელიც საქონლის გატანასა და შემოტანას მოაწყობს საქართველოდან გერმანიაში და წინა უკმო. კომიტეტმა დაადგინა, რომ შავი ქვის და აბრეშუმის გატანა შეიძლება განუსაზღვრელი რაოდენობისა; ხოლო ბამბეულობის, მატყლი, რეზინის, თამბაქოს და ქონის გატანა შერეული კომისიის ნებართვით, სრულებით არ შეიძლება გატანა შალისა და ტყავის, გარდა ცხვრის ტყავისა.

— საქ. გამცვლელ კომიტეტს განზრახული აქვს კომისია გაგზავნოს გერმანიაში გერმანიიდან საქონლის შემოტანის მოსაწყობად. რადგან გარეშე ამ კომისიისა საქონლის შემოტანა გაძნელებული იქნება, კომიტეტი წინადადებას აძლევს ყველა სახელმწიფო, საზოგადო და კერძო დაწესებულებებსა და პირთ 2 კვირის განმავლობაში წარმოადგინოს სია იმ საგნებისა; რომელთა შეძენაც სურთ.

✦ **ქართველები ჯარში.** ჯარის კაცი არქიპო ნესტორის ძე სირაძე მსახურებდა რუმინიის ფრონტზე მე-24 სარკინიგზო ბათალიონის შტაბში. იანვარის 9 იგი იყო ქ ბენდერში (ბესარაბია). შვიდი თვეა რაც მის შესახებ არავითარი ცნობა არ გვაქვს. გთხოვთ უმორჩილესად ვინც რაიმე იცით მის შესახებ, ნუ დაიზარებთ და შეგვატყობინეთ ან გაზეთის საშუალებით ან და კერძო მისამართით: ქ. ტფილისი. მეჟევოი ქუჩა ს. № 36. სტუდენტი აკაკი ნესტორის ძე სირაძე.

✦ **მასწავლებელთა კურსები.** საშუალო სკოლის მასწავლებელთათვის კურსები გაიხსნება დღეს მარიამობისთვის 1 დილის 11 საათზე (ახ. დროით) კადეტთა კორპუსის შენობაში.

✦ საქართველოს სხვა და სხვა კუთხიდან საშუალო სკოლის მასწავლებელთათვის ბინა და ყოველივე მოწყობილობა მოთავსებულია კადეტთა კორპუსის შენობაში, გოლოვინის პროსპექტი, № 31.

✦ **ვაჭრობა-მრეწველობის** განყოფილებამ მცირე სამრეწველოებს აცნობა, რომ ტყიბულის მაღაროებში მოგროვდა შავი ქვის ნაგავი. ვისაც ჰსურს შეუძლიან შეიძინოს. შესდგა ვაჭრობა-მრეწველობის საზოგადოების ගათბირი სათბობი საქონლის შესახებ, დადგენილ იქმნა ტყიბულის მუშებს ყოველთვის ორი კვირის სამყოფი სურსათი მოაწოდონ. თითო მუშა დღეში მიიღებს 2 გირვანქა პურს. აგრეთვე გადაიდოს 1 მილიონი მანეთი მუშების დასაკმაყოფილებლად. გადაწყვეტილია მთავრობასთან იშუამდგომლონ, რაც ნავთია, ტფილისის, ქუთაისის და სამტრედიის გასანათებლად საჭირო რკინის ჭურჭლებში იყოს შენახული. უნავთობის და უბენზინობის გამო დადგენილია: ეთხოვოს გზათა სამინისტროს, აცნობონ ვაჭრობა-მრეწველობის განყოფილებას ნავთის და ბენზინის რაოდენობა, რამდენია ავტომობილების განყოფილებისაგან მიღებული. ამისთანავე თხოვნით უნდა მიჰმართონ ქალაქის თვითმართველობას, აგრეთვე შინაგან საქმეთა სამინისტროს ამ საქმეში დახმარებას სთხოვენ.

✦ **საქართველოს ტერიტორიაზე ნავთის დ მუშავების საკითხის** შესახებ დადგენილია: ეთხოვოს სამთო სამმართველოს, შეადგინოს ხარჯთა აღრიცხვა საქართველოს ტერიტორიაზე რომელ ადგილებში შეიძლება ნავთის დამუშავება ეთხოვოს აგრეთვე გზათა სამინისტროს გამოაცხადოს: ამ საქმეში მთავრობას რა დახმარება შეუძლიან გაუწიოს ნავთის დამმუშავებელ საზოგადოებას.

✦ **სასოფლო კომისიას.** წყნეთიდან ატყობინებენ, რომ იქ სომხის მოაგარაკე მდიდრები და სხვა ბნელი ელემენტები პროვოკაციას ეწევიან: ვითომდა წერეთელმა რუსეთი გაჰყიდა, გეგეჭკორმა კი — ბათომიო და სხვა. ახალმა მთავრობამ გააძვირა სანოვაგე და ნორმალური ცხოვრება ააფორიაქაო. ეს ბნელეთის მოციქულები პროვოკაციის გავრცელებისა და განუწყვეტლივ ქეიფის მეტს არაფერს აკეთებენ. სასოფლო კომისია ჰგზავნის იქ თავის წარმომადგენლებს კვირას, მარიამობისთვეს ოთხს.

✦ **ს საგარეჯოდან** სასოფლო კომისიას სთხოვენ, რომ იქ გაგზავნილ იქმნას მარიამობისთვის 2 სათვის პროპანდისტი. კომისია ჰგზავნის თავის წარმომადგენელს.

✦ **მკვლელობა.** ბეგლიაროვის ქუჩაზე № 3, თავის ბინაზე, ღამით, ივლისის 30 ს ს. მირზოევმა მოკლა თავისი ცოლი.

✦ **ქურდობა.** ივლისის 30-ს, ვ. მამფორიას ბინაზე შევიდა 2 შეიარაღებული კაცი და დიდძალი ძვირფასი ნივთები და ფული გაიტაცეს.

✦ **დიმ. არაყიშვილის ოპერა.** კვირას, 29 ივლისს, საქართველოს სახელმწიფო თეატრში იმავე თეატრის კომისარ ალ. წუწუნავის მიერ დაარსებულ სამხატვრო კომისიის თანადასწრებით მოხდა დემონსტრაცია ქართველ კომპოზიტორ დიმ. არაყიშვილის ოპერა-ლეგენდისა: თქმულება შოთა რუსთაველზე: კომისის წევრებზე, რომელთა შორის იყვნენ გამოჩენილი საზოგადო მოღვაწენი, კონსერვატორიის დირექტორი ნიკოლაევი, ანტრეპ. ლევიცკი, სამუსიკო კრიტიკოსი ლვოვი, დირიჟორები გესსი და სტოლერმანი და სხვ. ოპერამ ძალიან კარგი შთაბეჭდილება მოახდინა და მიღებულ იქმნა დასადგმელად დასადგმელად მოლაპარაკება წარმოებს უფროსთანჯერ არ დამთავრებულა.

## სოფლად და ქალაქად.

**ფოთი.**

✦ მუშათა და ჯარის კაცთა საბჭოს მოუვიდა მინისტრთა თავმჯდომარის ბ. ნ. ჟორდანიასგან დეპეშა, რომლის შინაარსი დაახლოებით შემდეგია: გადაყენებულ იქნას რევოლიუციონური ტრიბუნალის პროკურორის თანამდებობიდან სოფოკლე ხომერია, როგორც ღირსება ახლოს მყოფი, რომელიც ფოსტაში სამსახურის დროს სამტრედიასა და ახალ-სენაკში მას ბრალდება 100 000 მ. გატაცება. ამ განკარგულებას საზოგადოება დიდი სიხარულით შეხვდა

✦ პეტრე ურუშაძეს, რომელიც რუსეთის სანაოსნო საზოგადოებაში მსახურებს და რომელმაც მოძრაობის დროს მუშებს ფულები შეუცქნაფა, ამ სამი დღის წინად აუარებელი პირველ მოთხოვნილების სანოვაგე უპოვეს თავის ბინაზე. (ღირსება ახ დილია). ამის შესახებ დიდი ფაცი ფუცია. ვნახოთ რით დაბოლოვდება საქმე.

✦ პოსტის კომისარი ქადიეიშვილი, რომელიც ამას წინად რევოლიუციონურმა ტრიბუნალმა დატყვევა ბოროტ მოქმედებისათვის, რაღაც მანქანებით ეხლა თავისუფლათ დანავარდობს ფოთის ქუჩებზე. დროა არის ასეთ პირების შესახებ შესაფერი ზომები მიღოს დემოკრატიულმა მთავრობამ.

## საქ. სოც.-ფედ. სარევ. პარტიაში

**ხუთშაბათს, 1 აგვისტოს, პარტიულ ბიუროში დანიშნულია საქართველოს რკინის გზების მუშა-მოსამსახურეთა სოც.-ფედ. პარტიის წევრთა სასწრაფო შეერთებული კრება. განსახილველია ფრიად მნიშვნელოვანი საკითხები, მოხსენებანი ცენტრალურ კოლექტივისა და ადგილებიდან.**

**დასაწყისი საღამოს სრულ 6 საათზე (ახალი დროით).**

## საქართველო და აფხაზეთი

სტამბოლის ფრანგულ გაზეთ „ლე სუარ“-ში ივნისის 25 დაბეჭდილია, რომ სტამბოლში ჩრდილო-კავკასიელების სამშვიდობო დელეგაციას სოხუმიდან მიუღია დეპეშა, რომელშიდაც გამოცხადებულია ენერგიული პროტესტი ქართველებისადმი, რომელთაც ჩერქეზების დაპყრობა განუზრახავთ და განსაკუთრებით-კი აფხაზების, რომელნიც შეადგენენ ჩერქეზების ერთ უმთავრესს შტოსა. გერმანელი ოფიცრების მეთაურობით და ყოფილი გერმანელი ტყვე ჯარს აცებისაგან შემდგარ რაზმი რიცხვით 800 კაცი გაემგზავრა აფხაზეთს, რათა ეს ქვეყანა ფაქტიურად დაუმორჩილოს საქართველოსო. დეპეშაში გამოხატულია რწმენა, რომ საიმპერატორო ოტტომმანების მთავრობა დაიცავს ამ ხალხის უფლებებს.

—

იმავე გაზეთის შემდეგ ნომერში (ივნისის 26-ს) დაბეჭდილია ინტერვიუ ჩრდილო - კავკასიის დელეგატებთან. „ჩვენს მმართველობას ექვემდებარებაო“, განუცხადებია დელეგაციას, „1 მილიონი დაღესტნელები, 1,200,000 ყაბარდოელები, 500,000 ჩაჩანი, 300,000 ჩერქეზი და ყაბარდოელები, 100,000 აბხაზი, 250,000 ოსი და 400,000 თურქმენი, ბალკარელი, ნოგაელი და სხვ. სულ მცხოვრებლების რაოდენობა შეიცავს 5,000,000 კაცს, რომელ რიცხვში აგრეთვე შედიან არა ადგილობრივი მკვიდრნი. ამ ხუთ მილიონში სამი მეოთხედი მუსულმანებია. დელეგატებს სწამთ, რომ მიუხედავათ ქართველების იმედებისა, აბხაზები დარჩებიან მათ სახელმწიფოში, და არა საქართველოში“.

## საქართველოს რესპუბლიკის ლაშქრისათვის ბრძანება

1918 წ ივლისის 28-ს.

ივლისის 17-ს მე ბრძანება გავეცი საქართველოს რესპუბლიკის ლაშქარში, რომ ყველა იმ ოფიცრებმა, რომელნიც ამ ჟამად სამსახურში არ იმყოფებიან, მოიხსნან სამხედრო ნიშნები.

ბრძანება მიეცა საქართველოს რესპუბლიკის ლაშქარს, და რასაკვირველია იგი შეეხებოდა მხოლოდ ამ რესპუბლიკის აფიცრებს და სრულიად არ შეეხებოდა ყოფილ რუსეთის ლაშქრის ოფიცრებს, რომელნიც რესპუბლიკის ჯარში არ ითვლებიან, საქართველოში დაბრკოლდნენ ამა თუ იმ მიზეზით და მის სტუმრებად ითვლებიან ამავე დროს კი ზოგიერთმა პირებმა, რომლებმაც არ მოისურვეს ივლისის 17-ს ჩემი ბრძანების აზრების შეთვისება, იგი ბრძანება ნებსით თუ უნებლიედ გამოიყენეს იმ გათიშვის გასაძლიერებლად, რომელმაც სამწუხაროდ თავი იჩინა ბრძოლაში დამობილებულთა შორის საქართველოს რესპუბლიკის დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ.

რადგანაც არა მსურს, რომ ივლისის 17-ს ჩემი ბრძანება ყველამ თავისებუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რად განმარტოს, ბრძანებითვე განვმარტავ და ვიმედოვნებ, რომ ჭეშმარიტ ამხანაგობის მაჩვენებელნი ოფიცრები, რომლებითაც კავკასიის ლაშქარი სამართლიანად მუდამ ამაყობდა, არ დაიწყებენ მიზეზის ძებნას იმ შუღლის გასაძლიერებლად, რომელსაც საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ ადგილი აქვს და ხელოვნურად ძლიერდება. ამასთანავე ერთად მე გავახსენებ ყოფილ კავკასიის ლაშქრის უფროსს, რომ ურთიერთ-სამხედრო პატივის ცემას და ქუჩებში და საზოგადო დაწესებულებებში პატიოსნობის დასაცავად საქართველოს რესპუბლიკის მიწა-წყალზე მყოფი, ვინც სამხედრო ფორმას ატარებენ, მოვალენი არიან სასტიკად ასრულებდნენ საქართველოს რესპუბლიკის ლაშქრის უფროსის განკარგულებებს. ლაშქრის დროებითი უფროსი.

**გენ.-მაიორი ანდრონიკაშვილი.**

## ზოგი რამ

ბ. ლევან ყიფიანის წერილი რომ წაიკითხოს კაცმა (**ედინენიე** ივლისის 22) საქართველოს მთავრობა თურმე თავის საუბედუროდ შესდგომია თავისი სახელმწიფოებრივი ცხოვრების ნაციონალიზაციას, თურმე საბედისწერო შეცდომა მოუდის ქართული სახელმწიფოებრიობის შექმნით, რადგანაც გუშინდელი მეგობრები დღეს მტრად გადაჰკიდებიან ქართველობას, რა კი იძულებულნი გამხდარან სამსახურისთვის, თავი გაენებებინათ. უკუღმა რო ვსთქვათ, უმჯობესი და სახელმწიფოსათვისაც საბედისწერო იქნება, თუ ნაციონალიზაცია უკუგდებულ იქმნა, მაშინ ჩვენი გუშინდელი მეგობრები რაკი სამსახურში დაჰრჩებიან დღესაც, ხვალაც და ზეგაც მეგობრობას არ მოგვიშლიან.

მაგრამ ვერ გაგვიგია, საქართველომ რომელსაც საკუთარი სახელმწიფოებრიობა, საკუთარი კულტურა შეუქმნია, რად უნდა გამოატყვრინოს უცნაური მაგალითი ეროვნულ სახელმწიფოებრივი პრინციპის გაარარავებისა. მაგალითად რუსთა ბოლშევიკური რესპუბლიკისათვის დაწესებულებათა ნაციონალიზაცია რად არის ბუნებრივი და საბედნიერო და ასეთივე ნაციონალიზაცია საუბედუროდ უნდა ჩაითვალოს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკისათვის? არა! ასეთი აზრის ქადაგებას მოჰყება ან გულქრელი, ან გულუბრყვილო, რომელსაც სახელმწიფოებრიობის ქმნა ფლავის ჭამა ჰგონია.

ბ. ისტრებოვიც გამომდგარა (**„კავკაზსკოე სლოვო"**, ივლისის 22) და თითქოს მართლა ქართველი ხალხის გულშემატკივარი ჰირისუფალი იყვეს, გაიძახის დაწესებულებათა ნაციონალიზაციის შემოღებით ქართველობა მოიშორებს კულტუროსან ძალებს, რაც დიდი დასაკლისი იქმნება, რადგანაც არც მცოდნე ხალხი მოეპოება საკმაო, არც ქართული ემარჯვებაო. ისტრებოვს საქართველო ეხლა გადაქცევია საზრუნველად, ძველი რეჟიმის დროს კი არად ჩასაგდებ რაოდენობად მიაჩნდა. კავკაზის და ზაკავკაზიეს ხმარებით სცდილობდა გრუზიას სახსენებელი გაეწყვიტა რომ რუსული ცენტრალიზმი და რუსიფიკაცია დაუბრკოლებლად განვითარებულიყო გათქვეფილ და უსახო ქმნილ ქართველ, თათარ, სომეხთ მასსაში.

არა! ასეთ აზრს იქადაგებს ის კაცი, რომელიც ან მოსკოვის აქ კვლავ გაბატონებას უნდა ეტრფოდეს, ან უნდა იყვეს გულუბრყვილო მუჟიკი, რომელსაც სახელმწიფოებრიობის ქმნა ბორშჩის ჭამა ჰგონია.

* * *

ფონ კიულმანის სიტყვა, ამას წინეთ ბერლინის რეიხსტაგში წარმოთქმული, მშვენიერი დახასიათებაა საქართველოს, ადერბეიჯანის და სომხეთის, როგორც პოლიტიკური ერთეულებისა, ეროვნულ პოლიტიკურად ძლიერ სახელმწიფოდ მხოლოდ საქართველოს სთვლის, სომხეთი და ადერბეიჯანი კი მიაჩნია უძლურ პოლიტიკურ განსახიერებად, ადერბეიჯანი ზედმეტად კიდევ წარმოადგენს, გერმანელი დიპლომატ-პოლიტიკოსის თვალში, ხალხის უბრალო მასას, რომელიც ბაქომდეა გარდართხმული. მაშასადამე სომხეთის უძლურება უნდა აიხსნებოდეს მისი ძალზე დაქუცმაცებით, რისგამოც ხალხიც და ტერიტორიაც საკმარისი აღარ გამოდგა რომ შესაძლებელი გამხდარიყო არა უძლური სახელმწიფოს დაარსება. მაგრამ რაკი სომხის ხალხი არარატის რესპუბლიკისა ადერბეიჯანელი თათრებივით უბრალო მასას არ წარმოადგენენ, უნდა ვიფიქროთ, რომ აღნიშნული გარემოება ხელს შეუწყობს სომხეთის მთავრობას სახელმწიფოებრიობა შეჰქმნას გაუჭირვებლად. სომხის საზოგადოება, სარწმუნოების, თუ სხვა რამ გარემოების წყალობით, ბუნებრივად წარმოადგენს ისეთ კოლექტივს, რომელიც ნაკლებად ბუნება ზიარია სხვა ეროვნებასთან და ეროვნულად უფრო აღზრდილი ასე რომ ძნელად თუ რამ პროპაგანდამ, განსაკუთრებით უცხო ტომელებისამ, აიყოლიოს და აამხედროს მშობლიური მთავრობის წინააღმდეგ, რაც სამწუხაროდ მოჰხდა საქართველოს მიყრუებულ კუთხეებში.

მოგეხსენებათ, რომ სომხის პოლიტიკური პარტიები, დაშნაკცუთიუნის გარდა, არა თუ ყოყმანში იყვნენ, არამედ იმ აზრს ადგენენ, რომ სომხეთის როგორც მთავრობა, ისევე ეროვნული საბჭო დაჰრჩენილიყო საქართველოს დედაქალაქში და აქედან შესდგომოდნენ არარატის რესპუბლიკის მართვასა; ანგარიშს არ უწევდნენ იმას, რომ შეუძლებელი იყო ერთი სახელმწიფოს ტერიტორიაზე ყოფნა მეორე სახელმწიფოს მთავრობისა, როცა ისეთი ყოფნა მტრის შემოსევისაგან არ იყო გამოწვეული, როგორც მაგალითად დაემართა ბელგიის მთავრობას, რომელმაც, ბელგიის გერმანელთა მიერ დაპყრობის შემდეგ, თავი შეაფარა საფრანგეთის მიწა-წყალსა. დაშნაკცუთიუნის პარტიამ, როგორც უფრო გავლენიანმა, სომხის მთავრობის და ეროვნული საბჭოს ადგილ საყოფლის საკითხი გადასწყვიტა ისე, რომ ერევანი გაჰხდა ამიერიდან არარატის რესპუბლიკის დედაქალაქად, სადაც ბინა ექმნება სომეხთ მშობლიურ მთავრობას და საიდანაც სომხეთის ბედის საჭეთი მპყრობელნი სიბრძნის კვალს შეუდგებიან, რომ ერს უძღოდენ ძმობის, ერთობის შთაგონებითა. ამ მხრით დაშნაკცუთიუნის პარტიამ დანარჩენ სომხურ პარტიებზე უფრო მეტი გამჭრიახობა გამოიჩინა მით, რომ თუმც პოლიტიკურად ცუდ გარემოებათაგან ხელშეშლილს, მაგრამ მაინც თავისუფალ სამშობლოს მიაშურა უეჭველია, სომხეთის ხალხი მალე იგრძნობს მშობლიური მთავრობის გამგეობის კეთილნაყოფიერ გავლენას და შეჰქმნის ცხოვრების ისეთ პირობას, როცა მთავრობას ენერგია დაეხარჯება არა უწესობის მოსასპობად, არამედ სახელმწიფოებრიობის გასამტკიცებლად. ერევანიც მალე შეიქმნება სომეხთ პოლიტიკური და კულტურული ცხოვრების ცენტრად, რომლისაკენაც დენას იწყებს დედამიწის ზურგზე მიმოფანტული სომხობაცა.

მაგრამ ჩვენს მტრებს გული გაუსკდათ იმ ქებისაგან, რომლითაც კიულმანმა მოიხსენა საქართველოს სახელმწიფო, როგორც უფრო ძლიერი ეროვნულ პოლიტიკური არსებობისთვის. ასეთი იყო გაზ. **„სოციალ-დემოკრატი"**, რომელიც ამასწინად ამბობდა, ალბად საქართველო მანამდისაც ყოფილა მზადებაში და მისი პოლიტიკური დამოუკიდებლობის გამოცხადება არ ყოფილა შედეგი შექმნილი პოლიტიკური გარემოებისაო. ცოტაღა აკლდა, რომ ეთქვა ქართველებისათვის, თქვენ იყავით სეპარატისტები, რუსეთისაგან ჩამოშორებას მოწადინებულიო. თუნდაც ისე ყოფილიყო მართლა, როგორც ჰგონია რუსულ გაზეთს **სოციალ-დემოკრატს**. დაგმობილ რად უნდა ყოფილიყო მისწრაფება, რომ ქართველ ხალხს აღედგინა პოლიტიკური უფლება, რომელიც უნდა ჰქონოდა მას რუსეთთან 1873 წ. ხელშეკრულობის ძალით და რომელიც ვერაგულად გამოსტაცეს რუსის ჯალათ ბიუროკრატებმა. გავანებოთ თავი ამ ისტორიულ საბუთს, რომელიც ჩირადაც არა ჰღირს, როცა იგი წარმოუდგენია უძლურსა, ვიმოწმოთ იმავ რუსეთის რევოლიუცია, რომლის სახელსაც ბოროტად ჰხმარობენ „სოციალდემოკრატიასთანა" მგლის ტყაოსანი „სოციალისტები". განა დღე მოკლე დამფუძნებელი კრების გარდაწყვეტილებით გამოცხადებულ არ იქმნა: რუსეთის ფედერატიულ რესპუბლიკაში შემავალი ხალხი ყველა, სუვერენია თავის ტერიტორიაზეო? ქართველთა მოწინავე საზოგადოებას წუთსაც არ უკუ უგდია ის აზრი, რომ შელახულ პოლიტიკურ ეროვნულ უფლებას დაიბრუნებდა, მაგრამ ეს კიდევ არ ჰნიშნავდა იმას, რომ რუსეთს ვერაგულად ულალატებდა, ან აუჯანყდებოდა არა! ღალატი თვით რუსეთმა ჩაიდინა, როცა ჯარი გაიწვია ჩვენი ქვეყნიდან და უიარაღო ჩვენი ხალხი და ჩვენი ქვეყანა დასარბევად დასაპყრობად მისცა ოსმალეთსა. „სოციალ-დემოკრატს" არ ეწყინებოდა, რომ იმდენ დ უძლურნი გამოვმდგარვიყავით, რომ აღარ შევძლებოდა პოლიტიკურ ეროვნული არსებობისთვის ბრძოლა და ლენინ-ენვერ-ბეის საწეწ-საგლეჯი გავმხდარიყავით. საქართველომ რო გერმანია იმფარველ-იმეგობრა, ისეთი აქტია, რომელი მის ავტორებს უთხრობს, ყოველ სხვა სიძველეთან ერთად პოლიტიკურ სიბრძნესაც.

**პეტრე მირიანიშვილი.**

## რკინის გზათა ქართველ მოხელეების კრება

ივლისის 28-ს ქართული კლუბის დარბაზში შესდგა საქართველოს რკინის გზათა ქართველი მოხელეების კრება. კრების დასაწყისს ხალხი ძალიან ბევრი დაესწრო, რადგან ყველა ქართველი მოხელე განიცდის სულიერ მოთხოვნილებას შეკავშირებისას, მაგრამ სამწუხაროდ ყველამ ბოლომდის ვერ შესძლო დარჩენა და კრების ბაშლისას მხოლოდ ორიოდე ასეული-ღა დარჩა. უაღრესად სამწუხარო ის იყო, რომ კრების მიზანი არ შეიცავდა იმ წესრიგს, რომელმაც უნებურათ ბოლოს იჩინა თავი, და ეს იმაში გამოიხატა, რომ კრებაზე გამოცხადნენ დათხოვნილ მოხელეთა მრავალი წარმომადგენელნი და მათი მოთხოვნილება ისეთს შთაბეჭდილებას სტოვებდა, თითქოს ეს ყოფილიყოს დათხოვნილთა მიტინგი, სადაც ყველა მხოლოდ თავის თავს სტიროდა, და არა მოხელეთა კრება, რომელთაც მიზნად დაესახათ საერთო საქმის კეთილდღეობა. ასეთს შთაბეჭდილებას სტოვებდა დათხოვნილთა ერთი ჯგუფის საქციელი და ნამდვილად-კი სულ სხვა იყო. ყველა იქ დამსწრე ქართველი მოხელენი დათხოვნილი იყო იგი თუ დატოვებული ერთი აზრით იყვნენ გამსჭვალულნი, ყველა გრძნობდა და იცოდა, თუ რა აბუჩად არის აგდებული ქართველთა ინტერესები ამ გზებზე—დღეს არსებული გამგებლობის მიერ, ყველა იქ დამსწრე ქართველი მთელი თავისი არსებით შეძრწუნებულია მისი ყოფა-ქცევით და ჰხედავს-რა სრულს უპატრონობას ამ გზებზე, გამოცხადდნენ ამ დღეს, რათ გამოეთქვათ ქართველი მოხელეების წინაშე მწუხარება შექმნილ პირობების გამო და სურვილი საქმის შველისა. შინაარსი ყველას ნათქვამისა ერთი იყო! „ნუ თუ მე ქართველს მიშვებენ სამსახურიდან და სტოვებენ არა ქართველს მიტომ, რომ ის უკეთ მოუვლის ჩემი საყვარელი სამშობლოს საქმეს"-ო?

ეს იყო ყველას გულისწყრომა და სწორედ ამან შეჰქმნა ატმოსფერა უწესოებისა, რადგან თქმა სხვა და სხვანაირად შეიძლება. მართლაც, განა შეიძლება ის, რასაც დღეს აქვს ადგილი ყოფილ „ამიერკავკასიის რკინის გზებზე; საქართველოს ტერიტორიაზე? არ არის ორგანო, რომელმაც გააკეთოს საქმე. ალბად გულუბრყვილო მკითხველი ღიმილით გახაცხადებს, მაშ არსებული „ცენტრალური კომიტეტი"-ო? მაგრამ შემცდარი იქნება. დღეს „ცენტრალური კომიტეტი" წარმოადგენს იმ ხოლმახდს, რომლსაც ძირში წყალი შეუდგება და ნელა-ნელა იძირება, მხოლოდ გამოცდილი ნაწილი ამ კომიტეტის შემადგენლობისა იმ თაგვებს, რომელთაც წყლისგან დაღუპვა შეაძრწუნებს და მორბიან ხომალდის ძირიდან მის სიმაღლეებზე და ეძებენ თავშესაფარს. სწორედ ასეა დღეს საქმე დაყენებული, ამით არიან დაინტერესებულნი მოხერხებული ნაწილი კომიტეტის შემადგენლობისა, რადგან დღეს არა ხვალ იქნება და უნდა იყვეს კიდეც მოწვეული სადელეგაციო ყრილობა უკვე ქართველი მოხელეებისა, რომელიც მთლად შესცვლის ამ კომიტეტის, როგორც წესს ისე შემადგენლობასაც ალბად. და გრძნობს რა ამას, ვიმეორებ, მოხერხებული და გამოცდილი ნაწილი მისი—კომიტეტის—შემადგენლობისა, განა არ შეეცდება აქედანვე უზრუნველჰყოს თავისი მდგომარეობა, ვიდრე უფლება ძალა უფლება მის ხელშია? სამართლიანი იყო შენიშვნა მომხსენებლისა იმის შესახებ, რომ კომიტეტის წევრები ინაწილებენ საუკეთესო ადგილებსო. კომიტეტის წევრობამდე—ყოფილი ჩვეულებრივი კანტორის მოხელეები—წევრობის შემდეგ სამსახურის უფროსებად ინიშნებიან. და განა ეს არ გამოიწვევს სამართლიან გულისწყრომას ამხანაგთა წრეებში? მაგრამ ვინ დაგიდევს ან გიჯერის? ქართველ მოხელეებს ეგონათ, რომ ამ დღის კრება განიხილავდა მათ გულისწყრომას, რადგან სხვაგან სამართალი ვერსად ჰპოვეს.

ნურავინ იტყვის, რომ კრებაზე იყო ნაწილი დათხოვნილი მოხელეებისა, რომელიც ილებდა მონაწილეობას კითხვების გადაჭრაში და ამიტომ არ შეძლება კანონიერად ჩაითვალოს კრების გადაწყვეტილებაო.

სხვათა შორის, კრებამ მიიღო ერთი მუხლი, რომელიც ამბობს „ეთხოვოს მთავრობას დაარსდეს ნეიტრალური კომისია, რომელიც გამოარკვევს და გაარჩევს დათხოვნილთა საქმეს" და სხვა. აქ ერთი გაუგებრობაა—რას ჰქვია „ნეიტრალური კომისია: ვისგან უნდა შესდგეს იგი? ამას ალბად თვით კრების მიერ არჩეული კავშირი გამოარკვევს, მაგრამ ვგონებ საჭირო იქნება იმ „ნეიტრალურ კომისიაში", თუ ეს მოთხოვნილება იქნება შესრულებული, კავშირისაგან იყვეს მიწვეული სამი წევრი მაინც.

კავშირის მოვალეობაა პრესის საშუალებით გაცნოს საქმის მსვლელობას—წევრები.

**სანხანიშვილი.**

## ამხ. პანტელეიმონ კვირიკაძის ხსოვნას

ჩემი ამხანაგის, კარგი მეგობრის სიკვდილი ჩვენი გაზეთიდან შევიტყე. ჭლექით მომკვდარა. ჭლექით, რომელიც ასე დაუახლოვდა ჩვენს სტუდენტობას. მაშ რა მოუვათ?

პირქუშ და სუსხიან რუსეთში ნახევრად სიმშილში გატარებული სიცოცხლე, სნეული ბინა და სხ. ადვილად სტეხავს ჩვენი ახალთაობის მაგარ ჯანს. მშიერი მწიგნობრობის მსხვერპლი ჩვენ ბევრი გვყავს. და მათ რიცხვს პანტელეიმონ კვირიკაძეც მიემატა. კიევის კომერციულ ინსტიტუტში დაამთავრა სწავლა წარსულ წელს. და სნეული დაუბრუნდა სამშობლოს, მაგრამ სამშობლომ ვერ განუკურნა მძიმე სენი და სიცოცხლის მწყურვალე მალე მოსწყდა სააქაოს. რაზე არ ოცნებობდა საბრალო! მაგრამ პირდაღებულმა ცივმა სამარემ იტვირთა მის ოცნებათა მოიავსება თავის შავ მკერდში.

პანტელეიმონი გარდაიცვალა. ჩვენს პარტიასაც მოუხდება გლოვის ზარის ჩამორეკვა. პანტელეიმონი პარტიის თავდადებული მუშა იყო. მუშა ჩუმი და ენერგიული.

მაგონდება ნაძალადევის პარტიული კრებები. მაგონდება ის კუთხე, სადაც ის

## აგრარული საკითხი საქართველოში

(შემდეგი).

არ ვამბობთ, რომ ტეხნიკურ პირობებს, რომელიც ნაყოფია თანამედროვე კაპილატისტური კულტურისა არავითარი მნიშვნელობა არ ქონდეს სოფლის მეურნეობაში. არა, რამდენიმე ჩვენ შეგვიძლია გავიმეოროთ კრაპოტკინის აზრი, რომ მაგალითად ბელგიაში „ნიადაგს ნოყიერება მისცა არა ბუნებამ, არამედ ადამიანების შრომამ"*) რის დასახასიათებლადაც ავტორს მრავალი დასამტკიცებელი საბუთი მოჰყავს. ამ დახასიათებას — რასაკვირველია — არავინ უარყოფს, მარქსიც ძალიან კარგად იცნობდა სოფლის მეურნეობაში ტეხნიკის მნიშვნელობას, ადამიანს სოფელშიც შეაქვს კულტურა, ის სარგებლობს ყოველგვარ გამოგონებას, ხერხს, გამოცდილებას: სადაც საჭიროა ათბობს ნიადაგს, ახდენს ფერმენტაციას, ფხვნის ფასფორტს, ქვას, იწვევს ხელოვნურ სინათლეს, ქარს, ცვარს, წვიმას და სხ:, მაგრამ რამდენადაც არ უნდა გაუმჯობესდეს ტეხნიკური პირობები და არ განვითარდეს ადამიანის ნებისყოფის გაბატონების საშუალება, ბუნების წიაღში ყოველთვის რჩება ის ზედმეტი, რომელიც ზედმეტ ღირებულებას აძლევს ნაყოფს, რომელსაც იძლევა მიწა და რომლის მაგიერობას ვერასოდეს გასწევს სხვა ტეხნიკური პირობა გარდა თვით მიწისა. ვიმეორებ, კ. მარქსი ყველა ეკონომისტზე მეტად აფასებდა ტეხნიკურ ძალის მნიშვნელობას, მაგრამ მაინც ამტკიცებდა: „ჩვენს ზომიერ ჰავაში, მიწა იძლევა მოსავალს წელიწადში ერთხელ, მოსავალი კი დამოკიდებულია დარზე და ამიტომ შეუძლებელია კანტროლის ისე დაწესება, როგორც მრეწველობაში".**) ამნაირად, თვით მარქსის შეხედულობით სოფლის მეურნეობის სფეროში ტეხნიკის ძალა მუდამ განსაზღვრულია ბუნებრივი პირობის გამო, ხოლო მაშინაც კი ტეხნიკა ვერ არის ინდუსტრიის მსგავსად გამოყენებული, ვინაიდან, შეუძლებელია კანტროლის და რეგლამენტის სისტემის დაცვა. მაშინ, როდესაც ინდუსტრიაში სასტიკი რეგლამენტაცია, კანტროლი და მომენტის უტილიზაცია უკიდურეს ზომამდეა განვითარებული, სოფელში ყველა ეს ფაქტორი სრულიად უნიადაგოა. ამას გარდა „თვით შრომის ექსპლოატაციას თავისებური პირობა აქვს მეურნეობაში, ვიდრე მრეწველობაში და ზედმეტ სიმდიდრის უმთავრესი წყარო—შრომა—რაიცა სულია კაპიტალიზმის არსებობისა სოფელში თავისებურ მდგომარეობაშია ჩაყენებული. სოფლის მეურნეობაში შრომის თავისებურ მდგომარეობაზე მარქსი გვასწავლის: „კაპიტალისტურ წარმოების ბუნებასთან დაკავშირებულია ის მოვლენა, რომ კაპიტალიზმი მუდამ ამცირებს მიწის მომქმედ ხალხს სხვა საქმის ხალხთან შედარებით, ვინაიდან მრეწველობაში „შედარებითი ზრდა ძირითად კაპიტალისა (постоян-капитала=საწარმოო საშუალებები—თ. ღ.) ცვალებად კაპიტალთან შედარებით перемен-капиталъ=მუშა ხელი—თ. ღ.) სწარმოებს აბსოლიუტურად, ხოლო შედარებით კი მცირდება მუშის ძალის როლი. სოფლის მეურნეობაში კი მუშის ძალა, აუცილებლად საჭირო განსაზღვრულ მიწის დასამუშავებლად მცირდება აბსოლიუტურად".***) ამნაირად კ. მარქსის კვლევა-ძიებით ჩვენ იმ აზრს უნდა დავადგეთ, რომ შრომის ასპარეზი იმდენად შეზღუდულია სოფელში რამდენადაც გაფართოებულია ქალაქში, ესე იგი, რამდენადაც შრომა ხელს უწყობს კაპიტალიზმის ტენდენციას ქალაქში, იმდენადვე ხელს უშლის სოფელში. ეს ერთად ერთი და აუცილებელი ლოღიკური დასკვნაა კ. მარქსის შემეცნებისა, თუ მარქსის დებულებებს ისე არ გავაქარწყლებთ და ჩავაღრჩობთ, როგორც ეს დაკარგულია მარქსის ნაწერებში. სოფლის მეურნეობაში შრომის თავისებურ ძალას და მნიშვნელობას სმიტი ხაზგასმით აღიარებდა თავის დროს, ხოლო ეს თავისებურობა უფრო აშკარაა დღეს, მეოცე საუკუნეში, როდესაც სოციალურ მოვლენათა რელიეფი ყველასათვის ხათელი და თვალსაჩინოა. „სასარგებლო შრომის გასადიდებლად, ან მეტი განვითარება მწარმოებელ ძალისა მოითხოვს მუშაკის დახელოვნებას ან და იმ მანქანის გაუმჯობესობას, რომლითაც ის მუშაობს. მაგრამ როგორც მექარხნეთა და ფაბრიკაში მომუშავეთა შრომის დანაწილება შეიძლება ისე არ შეიძლება ფერმერებისა და სოფლის მუშების შრომის დანაწილება, აგრეთვე ქალაქის მუშებივით ვერ დავიყვანთ მარტივ საშუალებებამდე სოფლის მუშების შრომას; ამიტომაა ქალაქელთა შრომა უფრო უმჯობესდება ვიდრე სოფლელებისა *).

რადგანაც სოფლად წარმოებას უმთავრესად ეპიზოდიური ხასიათი აქვს შრომის ხალხის რეზერვი და სამრეწველო ჯარის მობილიზაცია სინამდვილეს არ შეეფერება, ვინაიდან სამრეწველო უმუშევართა ჯარი, რომელიც აუცილებელი თანამგზავრია თანამედროვე კაპიტალისტური წეს-წყობილებისა, მხოლდ მაშინ შეიძლება არსებობდეს, როდესაც მუშას მუდმივად გახსნილი აქვს ძალის გაქირავების ასპარეზი. სოფლად მიწის მუშას ბაზარზე მხოლოდ და უმთავრესად მაშინ დავინახავთ, როდესაც ბუნებრივი პირობები ხელს უწყობენ მეურნეობის დაწყებას. მაშასადამე ზედმეტი „მოგების საშუალება „კაპიტალისტურ წარმოებას მუშის გაჭირვებულ მდგომარეობის გამო უფრო მეტი აქვს ქალაქში, ვიდრე სოფელში, რაიცა კაპიტალის მოძრაობის ხასიათს სავსებით არკვევს, სჭრის. გარდა ამისა ტეხნიკური კოოპერაცია, რომლის წიაღში წარმოიშვა ინდუსტრიალური კაპიტალიზმი და რაიცა სმიტ-მარქსის სკოლამ სამრეწველო კულტურის აუცილებელ და დამახასიათებელ მოვლენად აღიარა, სოფლის მეურნეობაში მცირეოდნადაც არ შეიძლება გამოდგეს, ვინაიდან საამისო ვერც რეგლამენტს შევიმუშავებთ მუშაობის წესრიგისათვის, არც კანტროლის დაწესება მოხერხდება და არც ერთი სახელოსნო მეურნეობის სისტემა, რაიცა აუცილებელი პირობაა ტეხნიკურ კოოპერაციისათვის. სოფლად მიწის მუშის რეგლამენტი დარი და თვითონ მუშის ხალისი, შეძლებაა, იგივეა თავისი ბედის გამომჭედი და თავისი თავის კონტროლი. სოფლის მუშაობა უაღრესად ინდივიდუალური მუშაობაა და ამ მხრივ სოფლის მუშაობის მთელი ორგანიზაცია, წესი, ხასიათი ეწინააღმდეგება ინდუსტრიალურ შემოქმედებას არის მომენტი მიწის მუშაობაში, როდესაც ჩვეულებრივი ბუნებრივი მოვლენა აიძულებს მეურნეს სრულიად შესწყვიტოს მუშაობა და ბუნების ცვალებადობას დაუცადოს, რომ გამოიყენოს თავისი ენერგია. აუგაგენი ამბობს: ჭარხალის, ლობიოს და პურის აღების დროს რომ წვიმა მოვიდეს მეურნე იძულებულია მუშაობა შეაჩეროს, ვინაიდან ნაწარმოები შესაძლებელია სრულიადაც გაოხრდეს. აიყვანეთ ამ დროს დაქირავებული ძალა და თუ მისი მუშაობა არ შეჩერდა ზარალს მივიღებთ სარგებლის ნაცვლად, ხოლო შრომის შეწყვეტა და ხელფასის გაღება კი მემამულესათვის არც სასურველია და არც სასარგებლო *). ასეთი აჩირებული მდგომარეობა, სრულიად უმიზნოა ტეხნიკურ კოოპერაციის და ინდუსტრიალურ შემოქმედების სფეროში, მაგრამ სავსებით ბუნებრივი მოვლენაა სოფლის მეურნეობაში რაიცა კიდევ ზედმეტ ძალს ასვამს და ამტკიცებს, რომ სოფლური კაპიტალიზმის მთელი საფუძველი, მიმართულება და შინაარსი არ შეიძლება არ იყოს სავსებით თავისებური, ინდუსტრიალურ კაპიტალიზმისაგან განსხვავებული.

**თედო ღლონტი.**

(შემდეგი იქნება)

---

*) იხ. მიწათმოქმედება, საფაბრიკო საქარხნო მწერლობა და ხელოვნება გვ 51 და 16.

**) იხ. მარქსი „კაპიტალი", ტ II გვ 211.

***) კაპიტალი,—ტ. III, ნაწ. II, გვ 174.

*) იხ. ად. სმიტი, თხზ ტომი მეორე, გვ. 594.

*) აუგაგენის ეს აზრი გერცსაც აქვს მოყვანილი და დავიდსაც.

ოჯდა ხოლმე ჩუმად. განა სათქმელი არ ჰქონდა? იტყოდა კიდეც, მაგრამ არ ამბობდა. საჯარო კრების პარადი მას არ იტაცებდა. ხოლო მიყუჟული კერძო საუბარი იტაცებდა მის დარცხვენილ პიროვნებას. და პანტელეიმონიც ამ კერძო, მცირე კამათში იყო ფიცხი და დამაჯერებელი.

მუშაობდა... ვიცი რომ მუყაითად მუშაობდა ჩვენი პარტიის საკეთილდღეოდ მაგრამ არ დასცალდა...

გარდაიცვალა ჩემი ჭაბუკობის ამხანაგი და ჩემი პარტიული თანამებრძოლი.

„სახალხო საქმემ“ შავი არშია შემოუვლო მის სახელსა და გვარს.

მეც დღეს მივიღე დეპეშა ქუთაისიდან:

ამხ. პანტელეიმონ კვირიკაძე გარდაიცვალაო.

უჰ, რა ძნელია ამ ასოციაციათა შეთანხმება. მაგრამ სიკვდილი ყოველგვარ სიძნელის ძლევას არის დაჩვეული.

აკი სძლია კიდეც. მოგვტაცა ამხანაგი, მეგობარი და მის სიკვდილთან შეგვარიგა.

დიახ! პანტელეიმონ კვირიკაძე გარდაიცვალა.

რა ვქნათ!.. სიკვდილს შევეჩვიეთ.

სასაფლაოსკენ ვისწავლეთ გზა!

ვახტანგ კოტეტიშვილი.

# საქართველოს სამხედრო გზაზე

**ყაზბეგის აღება და ბოლშევიკების „პოგრომი“**

ივლისის 13-ს, 16 საათზე დაუსვენებლივ კვლავ გავსწიეთ წინ ყაზბეგისაკენ. სროლის ხმა შესწყდა, წინ გვქონდა გასავლელი სოფლები, რომლებიც ბოლშევიკების ბუდეებად ითვლებოდა, მაგრამ არავინ წინაალმდეგობა არ გაგვიწია. ყველგან თეთრი ბაირაღები ფრიალობდა. ხალხი კი მთის კალთებზე, ზევით წვერისკენ მილღოავდა. იხიზნებოდნენ, და ხოლცვს ეშინოდათ დელეგატები ყველგან გვხვდებოდა, ჩვენ მოგვატყვილეს, ჩვენ რა ვიცით, მოგვეცით ნება შინ დაბრუნებისა და სხ.

გენ. კონიევი აძლევდა ნებას შინ დაბრუნებისას, მხოლოდ მეთაურები უნდა დაეჭირნათ. სოფ. აჩხოტში (გუდამაყარის ხეობის,) შეგვხვდა ნაწილი ჯუღელის რაზმისა და გუდაურელები, რომლებმაც შესძახეს „გაუმარჯოს საქართველოსო“ და გვითხრეს: ყაზბეგი აიღესო და ბოლშევიკები გარბიანო. უცბად გამოძახილი იქმნა ცხენოსნები მათ ჰქენებით გასწიეს წინ. ჩვენც ავედევნეთ, არტილერიაც ახრიგინდა.

ყაზბეგში დიდი აურ-ზაური იყო, განსაკუთრებით ხიდთან, ეს ყაზბეგელები თხოულობდნენ ტყვე მეგრელების დახვრეტას, რომლებმაც თურმე სულ გაანადგურეს სოფელი და დაამტვრიეს ყველაფერი, რაც არ წაეღებოდათ თერგში ყრიდენ. ვერავინ ვერ შეაჩერა მათი „პოგრომი“ თვით გეგეჭკორი ამბობდაო, გადმოგვცემდენ, რა ხალხს წამოვყევიო, სჯობს თავი მოვიკლაო“. გულსატკენ სურათს წარმოადგენს დღეს ყაზბეგი, სახლები სულ აქოთებულია ბოლშევიკ იმერ-მეგრელებისაგან, ჯავრი იყარეს მათზე, რადგან ყაზბეგელები მაგრად იყნენ და იარაღი ყველა არ ჩააბარეს. გაიქცენ მთაში და ზევიდან ისროდენ, ოჯახობა დარჩა შინ და მას მიდგენ ბოლშევიკები, შეტევამ მთაზე უნაყოფოდ ჩაიარა. როდესაც ყაზბეგელებმა და ცდოველებმა გაიგეს, რომ ჩვენი ჯარი მოდისო, რამდენიმე მათგანი წასულა დარიალისაკენ და სოფ. გველეთთან ჩასაფრებულან, დაიძრა თუ არა ბოლშევიკები ყაზბეგიდან, დევნილი სნოლებis და ჯუღელის ერთგულ ჯგუფის შეტევით. გადაელობენ მათ მოხევენი ვიწრო ხეობაში და იქ მოხდა თითქმის სრული ლიკვიდაცია ბოლშევიკებისა დასტოვეს ას ორმოცი ტყვე სალდათი მეგრელი, ლეჩხუმელი და იმერელი, ორი ზარბაზანი, ორი ტყვიის მფრქვეველი და სამი ყუმბარის მფრქვეველი. გზაზე ოცამდის დახოცილი ბოლშევიკი ეგდო. მათ მოკლეს მხოლოდ სამი ყაზბეგელი და დასჯრეს სამივე, საუკეთესო ვაჟკაცები ისიც მოტყვილებით, თეთრი ბაირაღი ააფრიალეს და როდესაც მივიდნენ რამდენიმე ფეხის ნაბიჯზე მაშინ ესროლეს და მოკლეს, მაგრამ ესენიც იქმნენ დახოცილნი და თერგში გადასროლილნი. ტყვედ მოხვდა ყველა არტილერისტები რუსები, აგრეთვე მიშა გეგეჭკორი და სხვები, ძლიერ გახარებული იყო ყველა, განსაკუთრებით ყაზბეგელები ისინი ამბობდნენ: „ეხ, ერთი ერთი დღით უფრო ადრე ნეტავი მოვსულიყავით, ვერ დაგვაწიოკებდნენო, მაგრამ ესეც კარგათ მოგვისწრითო“.

დავბრუნდით გველეთიდან უკან გვიან და სოფელში ქალების კივილი ისმოდა, ეს დახოცილებს ტიროდნენ. აქ ტირილი როგორც იმერეთში ისეთი სცოდნიათ. კარგი შთაბეჭდილება მოახდინეს ჩვენზე მოხევეებმა. მათი ვაჟკაცობა, მარდობა აუწერელია. ეს ერთად ერთი ხალხი დარჩენილა, რომელთაც აქვსთ უფლება თამამათ სთქვას „მე ქართველი ვარ და ჩემი წინაპრების ღირსეული ჩამომავალიო. ისეთ ადგილას გადასულან და ჩასაფრებულან. რომ ჩიტიც ვერ გადაფრინდება, რომ ეს არ ექნათ გაიქცეოდნენ კვლავ ვკითხეთ რად გაჯობეს ბოლშევიკებმა და აგაწიოკესთქო, მათ გვითხრეს, დიდხანს ვებრძოდით არ უშვებდით მაგრამ მეზობელ სოფლებმა გვიღალატა, აგრეთვე თქვენი ვერაფერი გავიგეთ, რომ დაგვეხოცნა შეგვეძლო, შემდეგ ცოლ-შვილს ამოგვიწყვეტდნო.

გათენდა ივლისის 14 დავინახეთ მყინვარი და ირგვლივ ჩამოფხოტილი უზარმაზარი მთები, თერგი ღრიალებს ისე რომ ადამიანს ლაპარაკის გაგონებას უშლის, აი ჩამოიარა 60 ცხენოსანმა მოხევემ, მშვენიერი ცხენები ჰყავსთ, მშვენიერადაც სხედან, ლეკებსა გვანან. თურმე სად ყოფილან ქართველები! ყველა მათ აქცევს ყურადღებას, მოსულნი, მხარ გრძელები ჩოხუტა ქუდებით კარგ შთაბეჭდილებას სტოვებენ. სამხედრო ელემენტი უკეთესი არ შეიძლება. აგერ ქალები სპილენძის ლამაზ თუნგებით მხარზე გადგმული მიდიან მწკრივად გაღმა წყალზე. გვაგონდება მწერალი ყაზბეგი და ლერმონტოვი. ჩვენი ოფიცერი გარბის, გამოაქვს აპარატი და წყაროსთან იღებს მათ სურათს. ქალებიც კარგნი არიან. ყველანი წერწეტნი არიან და ჩქარი, ვით ვეფხვი მიხვრა-მოხვრა აქვსთ. მოვიდა კაცი და მითხრა, რომ შტაბში სხდომა არისო და მეც წავედი.

VI

**დარიალის გაწმენდა და ლარსის დაჭერა**

შტაბმა თავის სხდომაზე დაავალა პოლკოვნიკ გედევანიშვილს შერეული რაზმით აელო დარიალის სიმაგრე, გაეწმინდა ის და გაჩერებულიყო ისეთ ადგილას, რომელიც შეეფერებოდა ჩვენ პოლიტიკურ ეკონომიურ და სტრატეგიულ პირობებს. 15 საათზე გავიდა რაზმი ყაზბეგიდან და 18 საათზე მივიდა გველეთში, სადაც ჩვენი წინა პოსტი იდგა. შეიერთა ეს პოსტი რაზმა და გასწია დარიალის ციხისაკენ. წინ მიდიოდა 14 კაცი ფურცელაძის რაზმიდან, მათ უძღოდა ვ. ჯუღელი, ალექსანდრე დგებუაძე, სანდრო მაისურაძე და კალანდაძე (ეშმაკი). მათ მიჰყვებოდა ჩვენი მზვერავები და მესამე ასეული, მეორე ასეულის ნაწილი კი უვლიდა თერგის მარცხენა ნაპირით. დაინახა რა მტერმა ჩვენი წინსვლა მყისვე გააჩაღა ცეცხლი ციხიდან ტყვიისმფრქვეველებიდან, თოფებიდან და ყუმბარების მფრქვეველებიდან. მიუხედავად იმისა წინა ჯგუფი მიიწევდა წინ; პოლკ. გედევანიშვილმა დაინახა რა, რომ ციხე გამაგრებულია უბრძანა ვასაძის ერთ ზარბაზანს, წინ წაწეულიყო და გახსნილ პოზიციიდან დაეშინა ყუმბარები ციხისთვის. ყუმბარები ძლიერ კარგად ხვდებოდა ციხეს. ვასაძე ესროდა პირადად, რადგან ზარბაზანს დაუშინეს ტყვიები და მოსამსახურენი მიიმალენ. მტერმა ვერ გაუძლო ცეცხლს, იერიში და დასტოვა ციხე. შიგ შეცვინდა ზემოთ მოხსენებული წინა ჯგუფი და დაატყვევა 12 კაცი, ხელთ იგდეს ტყვიისმფრქვეველი. ციხის აღებით შეტევა არ გათავებულა. პოლკოვნიკმა უბრძანა წასულიყვენ კიდევ წინ ახლა წინ წავიდა ჩვენი პოლკის მზვერავები და მესამე ასეული. ესენი ფეხდაფეხ დაედევნენ მათ, ნამდვილი ამ სიტყვის მნიშვნელობით მიუხედავად იმისა რომ მტერი ყოველ გზის ვიწრო მოსახვევში ჩერდებოდა, ჩვენები დაუსვენებლად მირბოდენ მათკენ, ერთი სურვილით აღჭურვილნი, რომ დაეჭირათ და ხელჩართულში ჩარეოდნენ. მტერმა რამდენჯერმე გაისროლა ყუმბარების მფრქვეველიდან ყუმბარა და შემდეგ დააგდო გზაზე ოაც ყვენებს ჩაუვარდათ ხელში. მტერი ლაოსის სადგურზეც ვერ შეჩერდა და აკვაკავისაკენ გაიქცა. ლარსი ჩვენებს ხელთ ჩაუვარდათ გამზადებული სადილით ორი საველე სამზარეულო და ბევრი გამომცხვარი პური. ჩვენები არ შეჩერდენ და კიდევ განაგრძობდენ წინსვლას როდესაც პოლკოვნიკმა გასცა ბრძანება საზღვარს გადავშორდითო ორ ვერსზე მეტი და გაჩერდითო. ბათალიონის უფროსმა შტ.-კაპ. ანდღულაძემ ძლივს გააჩერა პარტიზანები. ხუმრობდენ ისინი რად გაგვაჩერეთო, „პერებორი“ ხომ არ მოგვსვლიაო, რომ უფროსს არ შეეჩერებინა, ჩვენი რაზმი ისე მოწადინებული და გაქანებული იყო რომ იმ ღამესვე კავკავში ამოჰყობდა თავს. რაზმა დაიკავა პოზიცია სადგურის წინ, სწორედ ის ადგილი, რომელიც ჰკეტავს დარიალის შემოსავალს და იფარავს ხიდს. ამრიგად დამთავრდა ჩვენი გრძელი და ძნელი ბრძოლა. ჩემი ღრმა რწმენით, ეს ჩვენი მოქმედება უნდა იქმნეს ჩაწერილი თავისუფალ საქართველოს ისტორიის ფურცლებზე და თამამად შეუძლია იამაყოს მან ამით. 300 კაციდან რომელიც ჩამოიყვანა გეგეჭკორმა, უკან დაბრუნდა 26 როგორც გადმოგვცეს ქისტებმა და ტყვეებმაც სულ ჩვენმა ჯარმა ხელთ იგდო ოთხასზე მეტი ტყვე 4 ზარბაზანი, 5 ტყვიისმფრქვეველი, 4 ყუმბარის მფრქვეველი. ბევრი თოფი ორი სამზარეულო და მრავალი სანოვაგე ამ რიცხვში ჩვენმა რაზმა ჩაიგდო ორი ზარბაზანი, ორი ტყვიის მფრქვეველი, ერთი ყუმბარის მფრქვეველი, ორი სამზარეულო, მრავალი ვინტოვკა, სანოვაგე და ცხენები.

გ. ქ—ძე.

# ორი დღე განჯაში

**(შთაბეჭდილება)**

აღფრთოვანებით აღსავსე რევოლიუციონური მოძრაობის პირველი ღღეები ადერბეიჯანელ შეგნებულ დემოკრატიისა დამთავრდა ბეგების და საერთოდ ბურჟუაზიის საკეთილდღეოდ. არავითარი რევოლიუციის მოძრაობის შედეგი მოუმზადებელ და უკულტურო ხალხს არ შერჩენია. მხოლოდ „ნაძალადევი“ თვითგამორკვევა შერჩენია ხელთ ადერბეიჯანელ „დემოკრატიულ“ ბურჟუაზიას. მაგრამ ვაი მაგისთანა თვითგამორკვევას, რომელმაც ძირი გამოუთხარა მშრომელ ხალხის მისწრაფებას. არავითარი განსხვავება ვ:ღარ ვნახე დესპოტიურ ნიკოლოზ რომანოვის სამეფოსაგან ადერბეიჯანელ „რევოლიუციონურ თვითგამორკვევაში“ სამინისტრო იურიდიულად არსებობს, მაგრამ ფაქტიურად მთელი ძალა-უფლება ჩავარდნია ნური-ფაშას. ფაქტიურად მოსარჩლე და ბედ-იღბლის გადამწყვეტი მშრომელი ხალხისა არის ნური-ფაშა, რომელიც სულთამხუთავად მოვლენია მათ. მისი უფლების შეკვეცა ვერავითარ სამინისტროს ვერ შეუძლიან. ისე იქცევა როგორც მოეპრიანება. კიდევაც მიუღწევია ოსმალეთს ნური-ფაშის სახით თავის უზენაეს მიზანს. განჯაში შემოუტანია ისეთივე ადმინისტრატიული და პოლიტიკური მართვაგამგეობა, როგორიც არის ოსმალეთში.

მილიცია მოუსპია და მის მაგიერ ჩაუყენებია ყოფილი სულთამხუთავი პოლიცია: „პოლიცმეისტერი, ბოქაული, გოროდოვოი, მაძებარი პოლიცია, სტრაჟნიკები. ჟანდარმერია“ და სხ. რომელნიც ისეთივე ეპოლეტებით დაიარებიან, როგორიც ნიკოლოზის პოლიციას ჰქონდა. ხელში ყველას მათრახი უჭირავს და ქუჩაში თავზარსა სცემს მათი დანახვა. მშრომელ შეგნებულს, პოლიტიკურად მომზადებულს დემოკრატიას, პროლეტარიატს. (ეს ცნობა შეგნებული მუშებისაგან მაქვს გაგონილი). გარდა ამისა, შუა მოედანზე აღუმართავს ეშაფოთი, და სიკვდილის დასჯა უკვე შემოულია. ივლისის რიცხვებში ჩამოახრჩეს აგრარულ ნიადაგზე დანაშაულის ჩამდენი მკვლელი თათარი). ასეთმა რაზმებმა ოსპო განჯაში ანარქია და პოლიტიკური მოძრაობა და ცხოვრება ჩააყენა ისეთსავე ნორმალურ კალაპოტში, როგორიც იყო ნიკოლოზის დროს, მითხრა გულდაწყვეტილმა თათრის მუშამ. დღეს ჩვენთან, განაგრძობს ის, არავითარი პოლიტიკური შემეცნება და მომზადება ისედაც უვიც ხალხისა არ არის, ვინაიდან ოსპო ნური-ფაშამ პოლიტიკური კურსები და აგვიკრძალა ხალხში ყოველგვარი პროპაგანდა პოლიტიკური ხასიათისა. ასეთია შინაური ცხოვრება განჯაში და სხ. ქალაქებში.

რაც შეეხება სურსათის საკითხს განჯაში კარგადაა დაყენებული. აუარებელი სურსათია დაგროვილი განჯაში. სანოვაგის ნიხრი აქვთ შემუშავებული და კამოკიდულია ყოველგან. ნიხრის დარღვევისათვის სასტიკად დაისჯება დამნაშავე. აუარებელი პური აქვთ თათრებს დაგროვილი ბეღელში და დღევანდელი მშვენიერი მოსავალი გარანტიას აძლევს თათრებს უშიმშილობისას. ფუთი პურის ფქვილი იქ ფასობს 50—60 მან. გირვანქას კი ჰყიდიან რვა ცხრა აბაზად.

რაც შეეხება შაქარს, განჯაში ნაკლებათაა და რაც არის, იყიდება სპეკულიანტებთან ფარულად 14—15 მან. გირვანქა. ბლომად აქვთ აგრეთვე თათრებს ღვინო, რომელიც ფასობს ვედრო 12—15 მან. და ყოველივე ეს გარემოება იპყრობს რუსების ყურადღებას და აუარებელი მიისწრაფვის განჯაში სამსახურის საშოვრად (უმთავრესად სამსახურიდან გაძევებული ოფიცრობა იყრის თავს და სამხედრო სამსახურში შედის იქ ან და სამიკიტნოს და რესტორანს ხსნის. ადერბეიჯანელი მთავრობა სიმპატიურად ეპყრობა მათ და უთმობს მათ საუკეთესო ადგილებს, ვინაიდან ოფიცრობის ნაკლებობაა იქ. ხოლო ქართველების და ინტელიგენტ თათრებს შორის შეკოწიწებული მდგომარეობაა. ისინი მათ (ქართველებს) უნდობლობის თვალით უყურებენ და მდაბიო ხალხში ავრცელებენ პროვოკაციულ ხმებს: ვითომ საქართველოს მთავრობამ გაყიდა ადერბეიჯანი და ეხლა აგროვებს ძალას და ლამობს ზოგიერთი ჩვენი მიწა-წყალი ჩაიგდოს ხელში, საქართველომ ომიც გამოუცხადა ადერბეიჯანსო და სხვ.

მდგომარეობას აგრეთვე ჩვენ და მათ შორის ამწვავებს უფრო რუსების აგიტაცია, რომელიც სარგებლობენ შემთხვევით მატარებლებში ჩხრეკის დროს ჩვენ საზღვარზე და ეუბნებიან: „აი, ჰხედავთ, როგორ გაწამებენ, ყოველგვარ ხაბაკს გართმევენ და ტამოჟნის ფულს გახდევინებენ. ისინი თქვენთვის არაფერს დაიშურებენ, რომ თქვენ დაგამცირონ, გაჟლიტონ თქვენი ერი... თქვენ მათ არ ენდოთ, თორემ ისინი გიღალატებთ... ვინც თქვენ მიწა-წყალზე მსახურობს გააძევეთ, სცემეთ და აპატიმრეთ“..

შეუგნებელ თათრებს ყოველივე ეს მართალი ჰგონია და გვერდს უხვევს ქართველებს, რომ მათ დაუახლოვდეთ. ჩემი თვალით ვნახე, როგორ სცემა უდანაშაულო რკინის გზის მუშას თათრის ოფიცერმა სადგურ პოილოში. საკუთარ ოფიცრების ნაკლებობის გამო ადერბეიჯანელ მთავრობას გაუხსნია პრაპორჩიკების „სკოლა“ და ინსტრუქტორებად ოსმალეთის თაირები მოუწვევია. ჯარის მობილიზაცია აქვთ გამოცხადებული და დიდ მზადებაში არიან და ერთ წუთსაც არ კარგავენ მათი გაწვრთნისათვის.

საერთოდ განჯაში მდგომარეობა სერიოზულია და მთელი ყურადღება მთავრობისა მიპყრობილია გაეროვნებისაკენ ყოველივე დაწესებულებისა ნაციონალიზაცია სხვა და სხვა დაწესებულებს უკვე მოუხდენიათ და წარმოგვიდგინეთ, წარწერაც გამოუცვლიათ ყველგან ვერ ნახავთ ვერც ერთს მაღაზიას, სადაც რუსული წარწერა წაშლილი არ იყოს წითელ საღებავით და მის მაგიერ თათრულადაა წარწერილი.

საერთოდ თანხმობრივი და სოლიდარული მუშაობა სწარმოებს სამინისტროში და ეს აიხსნება ნური-ფაშას შიშით. ნური-ფაშა ხელს უწყობს მათ მისწრაფებას და სცდილობს აღადგინოს ადერბეიჯანში რკინის დისციპლინა..

ალ—მა

---

გამომცემელი

ხამხონ ფირცხალავა

რწმუნებული მთავარ კომიტეტისა.

---


**იყიდება** სასწრაფოდ სახლი 12 (სამზარეულოთი და სხვა საჭირო სადგომებით), მეტად ჯანსაღ ადგილას, ვაჟთა და ქალთა გიმნაზიების მახლობლად. იქვე იყიდება მუხის შკაფი (ბუფეტი). ავლაბარი, მარტყოფის ქ. № 22. 798

**ექიმი** კბილის ი. შ. ჩიჩინაძის კაბინეთი ავადმყოფებს ღებულობენ კბილის ექიმები: ე. ჩიჩინაძე, ვ. დ. მირიანაშვილი და ს. ი. ჩარკვიანი 9—2 და 5—7 მდგ. მიხეილის პროსპ. 78. 591

**ექიმი** ი. დ. ჯაფარიძე. შინაგანის, ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებანი ავადმყოფებს მიიღებს დილით 11—1 ს. საღამოს 5—7 ს. მადათოვის ქ. № 7 ტელეფონი 17-49. 1153

**ექიმი** გ. მ. მუხაძე კოჯორში გაემგზავრა და აქ ავადმყოფების მიღება 1 აგვისტომდე შეჩერებულია 1030

**ექიმი** ბ. ლ. შალამბერიძე იღებს სახებებით და საშვილოსნოს ავადმყოფთ, საღამოს 5—7 ს. მისამართი პეტროგრადის ქ. № 7. 1027

**ექიმი** დ. შარაშანიძე ... დღე შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ დილით ... საღამოთი 5—8 საათამდე. პავლოვის ქუჩა, № 7. 2130

**ექიმი** ი. ი. ბერიშვილი დაბრუნდა და განაახლა მიღება ვენერიული, საშარდე ორგანოების, სიფილისის (შეშხაპუნება 606—914) და კანის ავადმყოფობისა. დილით 9—12 ს. და საღამოთი 5—8 ს. ქალების მიღება 12—1 ს. კვირაობით მხოლოდ დილით. მიხაილოვის შესახვევი სასტუმრო „ნოეს“ პირდაპირ № 8. 450

**ექიმი** ვ. მუსხელიშვილი იღებს ავადმყოფთ დილის 12—2 საათ. ყირილანოვის ქ. № 6.

**ექიმი** კბილისა კონსტანტინე არდაზიანი განაახლა ავადმყოფების მიღება 11—2 საათამდის. მელიქოვის ქუჩა № 11 ექიმი არდაზიანის ბინა. 121

**ექიმი** ნ. ი. მახვილაძე იღებს სპეციალურად მალარიით (ციება) და მისი შედეგებით დასნეულებულთ, სისხლის ნაკლებობით, გულისა, ფილტვისა, ქარებით და სხვ. შინაგან სნეულებით ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5—7 ს. ელექტრიზაცია და მასსაჟი. მისამართი მოსკოვის ქ. № 11. 426

**ექიმი** ძ. ტუღუშლაშვილი ღებულობს ავადმყოფებს ვენერიული, საშარდე და სასქესო მილის სნეულებანი, სიფილისი (606 და 914) შეშხაპუნება). საღამოობით $5^1/_2$—7 საათ. ყოველ დღე გარდა კვირისა კერძო სამკურნალო მიხაილოვის პროსპექტი № 167. 200

**ექიმი** დ. ვ. ჯავახიშვილი იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ, ყოველ დღე, კვირის გარდა საღამოს 5—7 საათამდე, გუნიბის ქუჩა, № 41. ტელეფ. 14—09. 1032

**ექიმი** პავლე არდაზიანი დაბრუნდა. იღებს ბავშვთა და შინაგან ავადმყოფთ, დილის 8—9 ს. და საღ. 4—6 ს. მელიქოვის ქ. 12, 9 უბანი. 1002

**ექიმი** შ. ა. მიქელაძე მიიღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ-დღე საღამოს 6—7 საათამდე, მიხეილის პროსპექტი № 117.

**კერძო მიხეილის სამკურნალო მუდმივი ლოგინებით.**

ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 10 საათიდან. მიხეილის პროსპექტი, 167. 747

**მედიცინის დოქტორი მიუნხენის უნივერსიტეტისა ნ. ლ. ტურიაშვილი**

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე 12—2 შუადღ. და 4—5 საღ. შინაგანი, ბავშვებისა, საბებიო და საშვილოსნოს სნეულებანი. ნიკოლოზის ქუჩა № 7. სიმხოვიჩის აფთიაქის გვერდით. 624

**თვალის სამკურნალო მუდმივი საწოლით ექიმ დონხინისა**

რომელიც დიდი ხნის განმავლობაში ასისტენტად იყო ვენასა და პარიზში თვალის კლინიკებში. თვალით ავადმყოფნი მიიღებიან დილის 9—1 საათამდე და საღამოს 4—7 ს. მიხეილის პროსპ. № 141 (აპოლოს კინო-თეატრის მახლობლად). მძიმე და საოპერაციო ავადმყოფები სრული პანსიონითაც მიიღებიან. 620

**ექიმ ნავახარდიანის პირველი კერძო სამკურნალო**

(დაარსებულია 1880 წელს)

ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ ყოველ დღე (გარდა კვირისა) დილით:

„606“ და „914“ 11—12 ს.

**ბ. ა. ნავახარდიანი** —11—12 ს. ქირურგიული და ვენერიული (სიფილის. ავადმყ.)

**ე. ი. მაშნეგი**: 9—10 ს. ქალებისა და საშარდისა.

**ბ. გ. აგასაროვი**: $9^1/_2$—2 ს. ბავშვთა შინაგანი ავადმყ.

**ავეტისიანი**—კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს $11^1/_2$ ს.

**მ. მ. ბენიამოვიჩი**: 10—12 ს. ყურისა, ყელისა და ცხვირის სნეულებანი.

**ხ. გ. ავეტისიანი**—9—11 საკუთრივ ბავშვთა ავადმყ.

**ი. ი. ტერ-გრიგორიანცი**: 1—2 ს. შინაგანი.

**საღამოთი:**

**ა. წ. ისაკიანცი**: 6—7 ს. ქალური ავადმყოფობანი და ქირურგიული.

რჩევა-დარიგება 1 მან. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგეობით.

სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი ა. ნავახარდიანცი. 1018

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

**„სახალხო საქმე“**

ღირს: თვით 8 მან., ნომერი ღირს პროვინციაში და ტფილისში 40 კაპ., რკინის გზის სადგურებზე 50 კ., განცხადება: ჩვეულებრივი სტრიქონი პეტიტით პირველ გვ. 50 კაპ., უკანასკნელ გვ. 40 კაპ. სამგლოვიარო განცხადება 15 მან. ხელის მოწერა და განცხადება მიიღება რედაქციის კანტორაში ყოველ დღე დილის 9—3 საათამდე, სასახლის ქუჩა, № 6, ფოსტის ყუთი 190, ტელეფონი 12—29.